ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 5 - 48.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

— გერმანიის მთავრობის თავმჯდომარემ შტრეზემანმა ახლავე შეიტანა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. პრეზიდენტს თხოვნა ჯერ არ დაუკმაყოფილებია.

— მოელიან გერმანიის მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომას.

— ჰიტლერმა განაცხადა, რომ გერმანიაში მოსალოდნელია დიდი ამბები.

— ერთა ლიგაში გააშავეს პოლონეთის კანდიდატი და აირჩიეს ჩეხო სლოვაკიის წარმომადგენელი.

№ 228 პარასკევი, 5 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300,000 მ ნ. № 228

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

ამხანაგებო და მოქალაქენო!

დღეს ჩვენ ვიწყებთ გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კვირის გატარებას.

ამბები, რომლებიც ახლა გერმანიაში ვითარდებიან, იპყრობენ მთელი მსოფლიოს ყურადღებას. იმისგან, თუ როგორ წავა ახლა გერმანიაში რევოლიუციის ნვითარება და როგორი იქნება მისი შედეგი, დამოკიდებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთელი შემდეგი ბედი.

ასეთ მომენტში გერმანიის პროლეტარიატის დახმარება შეადგენს ჩვენს გადაუდებელ ამოცანას.

მისი დამარცხება იქნება მახვილის ჩაცემა ჩვენს მონაპოვართადმი. მისი გამარჯვება—მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის დასაწყისი.

ყველა დავეხმაროთ გერმანელ მუშას, რომელიც უდიდეს ბრძოლას აწარმოებს იმპერიალისტურ მტაცებლების წინააღმდეგ.

გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტი.

ართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა დღეს, 5 ოქტომბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან საკითხი

მდგომარეობა გერმანიაში

თეზისები იხილეთ გუშინდელ გაზეთში.

სამდივნო.

გერმანიის პროლეტარიატისათვის

ამხანაგებო!

დაჰკრა მეთორმეტე ჟამმა პროლეტარული რევოლიუციისა გერ- ამში. გერმანიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიის გაერთიანებული ები თოფ-იარაღს ისხამენ და ემზადებიან სისხლში ჩაახრჩონ მანიის მუშები, რომელნიც ისედაც სავსებით დაქანცული და გა- გურებული არიან. რურის ოკუპაცია, მარკის კატასტროფიული ემა, ცხოვრების გაძვირება, უმუშევრობა და ბოლოს კაპიტუ- აცია, პასიურ წინააღმდეგობაზე უარის თქმა, ე. ი. საფრანგეთის ა მოთხოვნილებათა ცნობა, იმ მოთხოვნილებათა, რომელთა შეს- ლება სრულიად ასამარებს და გაერთიანებულ მძარცველების ხელში ებს გერმანიის მუშას—აი ის რკალი, რომელიც მუხრუჭს უჭერებს მანიის მუშათა კლასს და რომლის დამსხვრევაც მხოლოდ პრო- ტარულ რევოლიუციას შეუძლია.

გერმანელ მუშისათვის დადგა ის დრო, როდესაც შესაძლებელი ება სრულიად გამართლდეს მარქსის სიტყვები—„მუშათა კლასი ის ბრძოლაში ჰკარგავს მხოლოდ ბორკილებს და იპყრობს მთელ ფლიოს“.

გერმანელი პროლეტარი, ეს კულტურული და უაღრესად კვა- ფიციური მუშა უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდა. მისი სამუშაო ხე- ასი 150-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ამერიკელი მუშისა, ხოლო სახმარ ების უაღრესი გაძვირება მას რეალურად ძირს წევს. ზოგიერთი- ის კი ეს მცირეზე მცირე ხელფასიც მიუწვდომელი იქნება. ათასი უმუშევარი, მშიერი და უბინაო ჯგუფ-ჯგუფად იყრის თავს რიკებსა და თავშესაფარებთან.

ურცხვი ბურჟუაზია კი ახალ მუქარას და მონობას უმზადებს მათ.

გარდა მთავრობის განკარგულებაში ყოფილ 300.000 კაცისაგან დგარ ლაშქრისა სწარმოებს გაძლიერებული მობილიზაცია ფაშის- ისა (200.000).

ბრძოლა უკიდურესობამდეა გამწვავებული, ბურჟუაზია აქეზებს ებს, სცდილობს გამოიწვიოს სტიქიური აფეთქება და სისხლის ევში ჩაახრჩოს ყოველგვარი წინააღმდეგობის შესაძლებლობა.

ასე მოხდა 71 წელს პარიზში, როდესაც გაანადგუ- პარიზის კომუნა, როდესაც რამდენიმე დღის განმავლობა- დახვრიტეს 30.000 მუშა, მაშინ პარიზელი მუშა, მო- ეტილი იყო მთელ მსოფლიოს.

დღეს კი სულ სხვაა.

საერთაშორისო გაერთიანება მუშებისა—ეს ცარიელი დეკლარა- როდია, ეს რეალური ფაქტია.

წინააღმდეგობის ძალას გერმანელი მუშა უპირველესად ყოვლი- ავის თავში ჰპოულობს და შემდეგ კი იმ ძლიერ და ბუმბერაზ განიზაციაში, რომელიც აკავშირებს დღეს მსოფლიო პროლეტა- ტის რევოლიუციონურ ავანგარდს—ეს არის კომუნისტური ინ- ნაციონალი.

II ინტერნაციონალმა საბოლოოთ დაასამარა თავისი თავი, მუ- ი ათასობით გარბიან ს.-დემოკრატიულ პარტიიდან და მძლავრ ლღებათ უერთდებიან კომპარტიის რიგებს.

ყველა ფაბკომები კომუნისტებს გაჰყვა. გლეხებსაც აღარ სწამთ, მ არსებული წესწყობილება ყველაზე უკეთესია და გაბატონებული სები სწორად იცავენ გერმანიის ნაციონალურ ინტერესებს, ისი- ხედავდენ, რომ პროტესტს ოკუპაციისა და ფრანგების ბატონო- წინააღმდეგ, ბრძოლას დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ მოებს კომპარტია, მუშები და მათი სიმპატიებიც ამ უკანასკნელი- კენ იხრება.

კომუნისტური პარტიის ძალა გერმანიაში იზრდება და მტკიც- ა; მუშათა კლასი, რომელიც დარაზმულია კომინტერნის დროშ- ქვეშ, არ წამოეგება პროვოკაციის ანკესზე და არ მოიტყუებს ნაწილობრივ გამოსვლებში მონაწილეობის მისაღებად.

ის რაზმავს თავის ძალებს, ჰქმნის თავის წითელ პროლეტარულ ლებს. ასეთი ასეულები უკვე ათასს აღემატება, იკრიბება და ირა- ა მარტო პროლეტარულ ლოზუნგების გარშემო და კაპიტალის ტევის დროს იგი მზად იქნება საომრად და სათანადო წინააღ- გობის გასაწევათ. მაგრამ გაიმარჯვებს ის მხოლოდ მაშინ, როდე- სხვა ქვეყნების მუშები, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა შესძ- ბენ შეამცირონ თავის ბურჟუაზიის მადა-გაუმაძღრობა, როდესაც ციალისტური რესპუბლიკების კავშირი გაუწოდებს მათ ძმურ ხელს, დესაც დაეხმარებიან მათ მთელი ქვეყნის მუშებიც. და ეს დახმა- ა უსათუოდ ექნებათ, ვინაიდან გერმანიის პროლეტარიატი დღეს ლი ქვეყნის პროლეტარიატის საქმეს აკეთებს.

მისი დამარცხება იქნება სოციალისტური რევოლიუციის დამარ- ბა, ხოლო გამარჯვება კი, კომუნიზმის გამარჯვება მთელ მსოფ- ოში.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! თქვენ უნდა შეიგნოთ დღე- ელი მომენტის მთელი სერიოზულობა და უაღრესი ყურადღება ციოთ მას თუ რა ხდება ამჟამათ გერმანიაში: მასთან ერთად ა მოიკრიფოთ მთელი ძალღონე, რევოლიუციური ძლიერება და ენერგია გერმანიის პროლეტარიატისათვის დასახმარებლათ. გერ- ლ მუშათა დამარცხება იქნება დასაწყისი ჩვენ მონაპოვარზე და ისუფლებაზე შემოტევისა.

დავეხმაროთ ყველა გერმანიის პროლეტარიატს!
გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას!
გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას გერმანიაში!
გაუმარჯოს კომპარტიას!

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
ტფილისის საბჭო. მ. წით.-არმ., და გლეხ. დეპუტატებისა
საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.

დავეხმაროთ ყველა გერმანიის პროლეტარიატს!
გერმანიის პროლეტარიატის დამარცხება საფრთხეში ჩააგდებს რევოლიუციის მონაპოვართ!
გერმანიის რევოლიუციის დამარცხება გააძლიერებს მსოფლიო იზმს!

რას გვავალებს გერმანიის ამბები

გუშინ ჩვენ ვწერდით, რომ საჭირო საბჭოთა ქვეყნების მშრომელ მასამ ფართე მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაბმულ გერმანიის პროლეტარიატს.

დღეს გვინდა შევეხოთ გერმანიის ამბებისადმი ჩვენი დამოკიდებულების სხვა მხარეს.

რამოდენიმეჯერ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ გერმანიის რევოლიუციას ორგვარი მტერი ჰყავს: შინაური და გარეში, საერთაშორისო.

გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია და კულაკი გლეხობა, ფაშისტური და მონარქისტული ორგანიზაციები თავიანთი კარგად შეიარაღებული რაზმებით, მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის ზედა-ფენები, მთელი კოალიციონური მთავრობის სახელმწიფო აპარატი, რომელიც სავსეა ვილჰელმის რეჟიმის ჩინოვნიკებით,—ყველა ეს საკმაოდ მძლავრი ძალაა თავის განთავისუფლებისათვის ამდგარ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მაგრამ გერმანიის პროლეტარიატი, რომელსაც მისდევს გაღატაკებული წვრილ-ბურჟუაზიული მასის დიდი ნაწილი, შესძლებს ამ შინაურ მტრებთან ანგარიშის გასწორებას.

არის მეორე მტერი—საერთაშორისო რეაქციის სახით.

[illegible] მელიც იმყოფება ევროპის შუაგულში, შემთხვევით არ ექნება ლოკალური, ადგილობრივი ხასიათი. რევოლიუციის ცეცხლი, დანთებული გერმანიაში, მოედება მის ახლო მდებარე ქვეყნებს და მთელს ევროპას.

ცხადია, რომ გერმანიის რევოლიუციას გულზე ხელდაკრეფილი ვერ უყურებს მსოფლიო ბურჟუაზია, რომლის ბატონობას ამ რევოლიუციის შედეგები წალეკვას უმუქრება.

მუშათა კლასის გამარჯვებას გერმანიაში გულგრილად ვერ შეხედავს პირველ ყოვლისა საერთაშორისო რეაქციის მთავარი ციხე-სიმაგრე—საფრანგეთი. გერმანიის რევოლიუცია პირველ რიგში იპოვის გამოხმაურებას საფრანგეთში როგორც გერმანიასთან გეოგრაფიული სიახლოვის, ისე მთელ რიგ სხვა პირობების გამო.

ამიტომ ისახება ისეთი პერსპექტივა, რომ პუანკარე დასძრავს თავის ჯარებს გერმანიის რევოლიუციის ჩასახშობად.

საფრანგეთს არ ჩამორჩებიან ინგლისი და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნები. რევოლიუცია მათი საერთო მტერია, და მის წინააღმდეგ ისინი ყოველთვის მოახერხებენ ერთიანი ფრონტით გალაშქრებას, რაც უნდა ანგარიშები და უთანხმოებანი ჰქონდეთ მათ ერთმანეთ შორის.

ამგვარად, მსოფლიო რეაქციის ჩარევა გერმანიის ამბებში, საერთაშორისო რეაქციის ძალებით გერმანიის მუშათა კლასის გასრესა,—აი შავი განზრახვა პუანკარესი და ყველა ბურჟუაზიულ-ფაშისტურ შაიკების.

ასეთი პერსპექტივის დროს რანაირი შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის პოზიცია?

ჩვენ წინედ გვქონდა აღნიშნული, რომ საფრანგეთის და საერთოდ მსოფლიო რეაქციას უფრო ფართე გეგმა აქვს დასახული, ვინემ მარტო გერმანიის რევოლიუციის დასამარება, თუმცა ეს უკანასკნელი რო შესძლოს მან, ეს თავისთავად საშინელი მახვილის ჩაცემა იქნებოდა არა მარტო გერმანიის მუშათა კლასისათვის, არამედ მსოფლიო კომუნისტური რევოლიუციისათვის.

მაგრამ, როგორც ვთქვით, საერთაშორისო რეაქცია უფრო შორს იხედება, თავის ავაზაკურ ხელებს ის წაიშვერს მოსკოვისა და მთელი საბჭოთა კავშირისკენ.

მსოფლიო რეაქციას ჯერ ფარხმალი არ დაუყრია ჩვენი გამარჯვებული მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ამ ორ ბანაკ შორის არის მხოლოდ დროებითი „ზავი“, ზავი არა დაწერილი და ხელმოწერილი, არამედ ფაქტიურად შექმნილი საერთაშორისო ძალთა განწყობილებით.

დღეს ირღვევა ის წონასწორობა, რომელიც დამყარებული იყო მსოფლიო სოციალურ ძალთა დამოკიდებულებაში.

[illegible] გერმანიის მუშათა კლასის გვამზე გადაბიჯებას და შემოსევას საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის კისრის მოსაღრეკად და მათ ჩასაბმელად მსოფლიო და ადგილობრივი ბურჟუაზიის, მრეწველების და მემამულეების უღელში.

მსოფლიო რეაქციის ინტერვენცია გერმანიაში—ეს იქნება უშუალო დამუქრება ჩვენი რევოლიუციონური მონაპოვართათვის, მონაპოვართათვის, რომელთა შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად ამდენი სისხლია დაღვრილი და მსხვერპლი გაღებული.

და ყველაფერი ეს განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას გერმანიის ამბებისადმი. საკუთარი თავის და მსოფლიო რევოლიუციის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ჩვენი რესპუბლიკების მშრომელნი ფხიზლად და მზად უნდა იყვნენ გადამწყვეტ ამბების მოლოდინში.

ჩვენ ფართე დახმარება უნდა გაუწიოთ გერმანიის პროლეტარიატს. დღეს ჩვენ ვაწარმოებთ კამპანიას მისთვის მატერიალურ დახმარების აღმოსაჩენად. რა თქმა უნდა, ეს კამპანია რაც შეიძლება ფართოდ უნდა ჩავატაროთ. მაგრამ ჩვენ უფრო მეტ და სერიოზულ დავალებას გვაკისრებს გერმანიის ამბები.

საჭიროების დროს ჩვენ უნდა გაუწიოთ გერმანიის რევოლიუციას უფრო აქტიური დახმარება. თვით მომენტი, ამბების მსვლელობა გვიჩვენებს, თუ რა სახის და ფორმის უნდა იყოს ეს დახმარება.

გერმანიის მუშათა დამარცხებისთანავე მსოფლიო ფაშიზმი თავს დაესხმება ს. ს. რ. კავშირს!
მთელი ძალღონე—საბჭოთა რესპუბლიკების დასაცავათ.
გერმანელ მუშათა გამარჯვება—მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებაა!

დემოკრატიულია თუ არა სოციალ-დემოკრატია?

ამჟამად ეს უკვე უდავო ფაქტია: სოციალ-დემოკრატია, რომელიც ასეთი რიხით გამოდიოდა დემოკრატიის დასაცავად, უკვე აღარ არის დემოკრატიული პარტია. ისე, როგორც სხვა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები რევოლიუციის ხანაში, ის გადაიქცა კონსერვატიულ - რეაქციონურ პარტიათ, მას სრულიად არ ძალუძს და არც სურს დაიცვას თვით რესპუბლიკანური დემოკრატიაც, თუმცა თავის თავს ის მის ყველაზე უფრო ერთგულ, ყველაზე უფრო ენერგიულ დამცველათ სთვლის. სოციალ-დემოკრატიას მუდმივი კავშირი აქვს ბურჟუაზიისა და თავადების რეაქციონურ ან მონარქისტულ პარტიებთან. სოციალ დემოკრატიას არ სურს თვით მონარქიის რევოლიუციონური გზით დამხობა. სოციალ-დემოკრატია შედის მეფეების სამინისტროებში. სოციალ - დემოკრატია მუშათა კლასს უნერგავს იმ აზრს, რომ მისი ინტერესები შესაძლოა დაცული იქნეს არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მონარქიის დროსაც.

1913 წელს ბადენის სოციალ-დემოკრატების სტუმრობამ ბადენის კაროლის სასახლეში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის რიგებში. ერთი წლის შემდეგ იფეთქა ომმა და ევროპის სოციალ-დემოკრატიამ სამოქალაქო ზავი შეკრა ბურჟუაზიასთან, რაც მთელ რიგ ქვეყნებში ნიშნავდა **სამოქალაქო ზავს მონარქიასთან, კაროლებთან და იმპერიატორებთან.** ბელგიაში, ინგლისში, გერმანიაში, შვეციაში, დანიაში ომის დროს და ომის შემდეგ სოციალ-დემოკრატია არა ერთხელ შესულა მონარქისტულ კაბინეტებში. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატია მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში სტამბულინსკის მთავრობის წინააღმდეგ, შეთქმულებაში, რომლის მთავარი ძაფები თავს იყრიდენ მეფის სასახლეში.

ყველაფერი ეს ახლა ნორმალურ მოვლენად ითვლება; არავის ასეთი ხასიათის ფაქტები უკვე არ აღშფოთებს. 1923 წლის გაზაფხულზე, ინგლისის მუშათა პარტიის,—ახალი „მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის“ პირველი პარტიის ლიდერები დაესწრენ სადილს მეფის სასახლეში. ინგლისის რევოლიუციონური მუშები ამან აღაშფოთა. უფრო კეთილსინდისიერი სოციალისტების ნაწილი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო მეფესთან სტუმრობის ფაქტმა. მაგრამ ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერები იმ აზრის დარჩენ, რომ მის უდიდებულესობა მეფესთან სტუმრობა საჭირო იყო. აი რა განაცხადა ამის შესახებ ტომასმა:

> „ამ შემთხვევაში საკითხი ორი თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული: **კონსტიტუციის** და პირადი ურთიერთობის თვალსაზრისით. **კონსტიტუციის თვალსაზრისით, ეჭვს გარეშეა, მეფეს ისევე უნდა გაეწია ანგარიში მუშათა წარმომადგენლების აზრისათვის, როგორც კონსერვატული სამინისტროსათვის.** აი, ამიტომ ის იწვევს მათ, როგორც ოფიციალურ ოპოზიციას. რომ მეფე სხვანაირად მოქცეულიყო, იგივე პირები რომლებიც ახლა პროტესტს აცხადებენ, ბრალს დასდებდენ მას **უპატივცემლობაში, მუშათა პარტიისადმი ამას გარდა, უკანასკნელს არასოდეს არ გამოუთქვამს აზრი [illegible] სარგებლოდ.**
>
> რაც შეეხება პირად აზრს, განა **ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ, მეგობრობაზე ყველასთან ვინც ჩვენზე მდიდარია, ან არ გვეთანხმება ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებაში?** რკინისგზის კომპანიების დირექტორებს შორის ბევრი ჩემი პირადი მეგობარია. განა უნდა ჩამოვშორდე მე მათ როგორც შავი ჭირით შეპყრობილთ? ყველაფერი ეს სასაცილოა! **ასეთი პოლიტიკა მხოლოდ კლასობრივ ანტაგონიზმს გამოიწვევს**“.

რა შეიძლება ითქვას ამ განცხადების შესახებ, რომელშიც „მუშათა ბელადის“ ჭკუის სიჩლუნგე და სიდამბლე შეერთებულია ბურჟუაზიის აშკარა ლაქიის ცინიზმთან? მეფემ, (როგორ მოგწონთ ეს) ისევე უნდა გაუწიოს ანგარიში მუშათა წარმომადგენლების აზრს, როგორც კონსერვატორების წარმომადგენლებს. მეფე, ტომასის წარმოდგენით, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ ტომასის სიტყვით, არის მთელი ხალხის ზეპარტიული, ზეკლასიური, საერთო სახალხო წარმომადგენელი. მეოცე საუკუნეში სირცხვილიც არის ამ აშკარა ტყუილის წინააღმდეგ გალაშქრება.

უფრო მნიშვნელოვანია ტომასის მეორე განცხადება, რომ მუშათა პარტიას „არასოდეს არ გამოუთქვამს აზრი რესპუბლიკანური წყობილების სასარგებლოდ“, რომ ის არასოდეს არ ყოფილა ბოლომდის დემოკრატიული პარტია, რომ ის მუდამ იყო მეფის დემოკრატიის მაჩანჩალა. დიახ, **„მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის“ მთავარ პარტიას არ სურს ბრძოლა რესპუბლიკისათვის;** მას, ისე როგორც ცეცხლის ეშინია კლასობრივი ანტაგონიზმების, ის მხარს უჭერს თანამშრომლობას მონარქიასთან, თანამშრომლობას ბურჟუაზიასთან. **ინგლისის მუშათა პარტიის ბელადების საქციელის გამო პოლიტიკურად და მორალურად პასუხისმგებელია მსოფლიო სოციალ დემოკრატია,** ჰამბურგში აღდგენილი „ერთიანი“ ინტერნაციონალის ყველა ბელადები ჰენდერსონიდან და ვანდერველდიდან დაწყებული აბრამოვიჩამდე და ოტტო ბაუერამდე.

ინგლისის მუშათა პარტიას, იუწყება ტომასი, არასოდეს არ გამოუთქვამს აზრი რესპუბლიკის სასარგებლოდ. სოც.-დემ. ინტერნაციონალის სხვა პარტიები უკვე აღარ იბრძვიან რესპუბლიკისათვის. რესპუბლიკისათვის ბრძოლა შეიძლება მხოლოდ რევოლიუციური გზით. რევოლიუციას ახდენენ მასები, და როცა მასები, ამოძრავდებიან, ისინი რესპუბლიკით არ დაკმაყოფილდებიან, ისინი აუცილებლად შეუტევენ კაპიტალიზმის სიმაგრეებს, ეს კი სოციალ-დემოკრატიას არაფრის გულისათვის არ სურს. ამიტომ ის ურიგდება მონარქიას, ამიტომ მას ურჩევნია ბლოკი მონარქისტებთან ვინემ კომუნისტებთან, ამიტომ ის სცდილობს დაარწმუნოს მუშათა კლასი, რომ მონარქიის დროსაც შეიძლება ცხოვრება და თავისი ინტერესების დაცვა.

წინათ,—სწერს კაუცკი თავის წიგნში რევოლიუციის პროგრამის შესახებ,—„იყვენ ისეთი სოციალისტებიც კი, რომლებიც ფიქრობდენ, რომ მონარქიაც შესაძლოა დაინტერესებული იქნას სოციალიზმით“, იყვენ! დიდი ხანია მას შემდეგ, რომელ საუკუნეში? იყო თუ არა ეს სრულიად ახლო წარსულში, ხდება თუ არა ეს ამჟამადაც? როცა ვანდერველდე იყო ბელგიის მეფის მინისტრი, როცა ჰენდერსონი იყო ინგლისის მეფის მინისტრი, როცა ბრანტინგი იყო შვეციის მეფის მინისტრი, ...როცა მაკდონალდი სადილობდა ინგლისის მეფესთან, განა ყველა ეს სახე არ არწმუნებდა თავისი ქვეყნის მუშებს „რომ მონარქიის დაინტერესებაც შეიძლება სოციალიზმით?“ როცა ტომასი აცხადებს, რომ მეფემ ერთნაირის ყურადღებით უნდა მოისმინოს, როგორც მუშების ისე კონსერვატორ ლორდების ხმაო, განა ამით ის იმას არ ამბობს, რომ მეფე ისეთივე მეგობარია მუშათა კლასის, როგორიც ლორდებისო? „იყვენ ასეთი სოციალისტებიც!“ იყვენ კი არა, **არიან ყველგან,** ინგლისშიც, ბელგიაშიც, შვეციაშიც, იტალიაშიც, ბულგარეთშიც; ყველგან, სადაც არსებობენ მეფის ტახტები და სოციალ-დემოკრატია, ხან ფაქ- [illegible] მოქალაქეო ზავს, ხელს უშლის მუშებს საშუალო საუკუნეების ნაშთების აღმოფხვრაში.

სოციალ-დემოკრატია უკვე აღარ არის პატიოსანი დემოკრატიული პარტია. სოციალ-დემოკრატიამ იცის, რომ დემოკრატიისათვის ბრძოლა გზას უხსნის მონარქისტულ რეაქციას. აწარმოებს რა ბრძოლას საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ დემოკრატიის სასარგებლოდ, სოციალ-დემოკრატია ანგარიშს აძლევს თავის თავს ამ ბრძოლის შედეგებისათვის, სოციალ-დემოკრატია არ მალავს იმას, რომ ეს ბრძოლა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, თითქმის უსათუოდ დამთავრდება მეფის რეაქციის გამარჯვებით. აი, მაგალითად, მოსკოვის სოციალ-დემოკრატების მეტად მემარჯვენე, პარტიის გარეშე მენშევიკური ჯგუფის პლატფორმა. თავის თეზისებში ეს ჯგუფი სწერს:

> „**საბჭოთა ხელისუფლების დამხობა როგორც არ უნდა მოხდეს ეს, ეჭვს გარეშეა, გამოიწვევს დიდ საზოგადოებრივ რეაქციას** და ცდას დაუბრუნონ რუსეთითვითმპყრობელობას და მემამულეების წყობილებას... გლეხობის ძალების დაქსაქსვის და საერთოდ დემოკრატიის შეკავშირებული ძალების უქონლობის პირობებში, **შესაძლებელი და სრულიად მოსალოდნელია რესტავრაციული ძალების ბატონობის პერიოდი სამხედრო დიქტატურისაგან „შეპარიკებული“ მონარქიის სახით.** („ზარია“, № 2, 1923 წ. გვ. 60).

საბჭოების რესპუბლიკის დამხობა გამოიწვევს არა დემოკრატიის, არამედ მეფის რეაქციის დამკვიდრებას. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი იძულებულია აღიაროს ეს. ახლა მოუსმინოთ მენშევიზმის ოფიციალურ წარმომადგენელს დალინს: სად მიყავს რუსეთი დემოკრატიისათვის ბრძოლას? თავის წიგნში, „ომისა და რევოლიუციის შემდეგ“, დალინი გვიპასუხებს:

> „მე, რასაკვირველია, სოციალიზმს არ ვთვლი მუდმივ ძალად რუსეთში. ის უკვე თვით აუქმებს თავის თავს, შემდეგში განვითარება კი ამავე მიმართულებით წავა. **მე, ეჭვს გარეშეა, არ ვთვლი მუდმივად არც რესპუბლიკას.** ეს არის პოლიტიკური ბრძოლის საკითხი. მაგრამ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ მონაპოვარს რესპუბლიკა არ ეკუთვნის.
>
> **დაბოლოს, პოლიტიკური „თავისუფლებანიც“**; რომლითაც ხალხი სარგებლობდა ერთი წლის განმავლობაში, სრულიად არ **შექმნილან ახალი რუსეთის საფუძვლათ. გლეხურ აბსოლიუტურ მონარქიას დიდის ხნით შეუძლია მოუღოს ბოლო რესპუბლიკასაც და თავისუფლებასაც“.**

აი პერსპექტივა, რომელსაც გზას უხსნის სოციალ - დემოკრატიული ბრძოლა დემოკრატიისათვის. „მუდმივი ძალა“ რუსეთში არ იქნება არა მარტო სოციალიზმი, არა მარტო რესპუბლიკა, არამედ პოლიტიკური თავისუფლებანიც. „გლეხების აბსოლიუტურ მონარქიას!“ დიდი ხნით შეუძლია მოუღოს ბოლო რესპუბლიკასაც და თავისუფლებასაც. აი, დემოკრატიისათვის ბრძოლის ჯამი, რომელიც წინდაწინვე აშკარაა! აი, აუცილებელი შედეგი საბჭოთა რესპუბლიკის დამხობისა! იბრძვის რა დემოკრატიისათვის, მენშევიზმი ვერ ბედავს მშრომელთათვის ელემენტარული თავისუფლების დაცვის დაპისთვლის. მაგრამ მეფის რეაქცია „ურჩევნია მას, ვიდრე პროლეტარული რესპუბლიკა *).

დემოკრატიისათვის ბრძოლის შედეგების შესახებ **არც კარლ კაუცკის აქვს ილიუზიები.** წერილში, რომელიც მოთავსებული იყო ნიუიორკის ებრაელ გაზეთში ებრაელობის და დემოკრატიის შესახებ, კაუცკი სწერს:

> „როცა ბოლშევიზმი დაემხობა ან დასუსტდება, მას თავს დაატყდება ხალხის რისხვის დიდი ტალღა. მაგრამ ეს ტალღა ბოლოს დაბოლოს შესაძლოა მიმართული დარჩეს ებრაელების წინააღმდეგ. რამდენათაც მასის თვალში ებრაელი და ბოლშევიკი მეტად იქნება ერთი და იგივე, მით უფრო მეტად და ძლიერათ განვითარდება ანტისემიტიზმი“.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შედეგათ რეაქციის აუცილებლობას აღიარებს კაუცკიც. მაგრამ ამ აუცილებლობიდან მას ის დასკვნა გამოყავს, რომ ებრაელებმა, მომავალი პოგრომების შიშით უნდა გაიმიჯნონ ბოლშევიზმისაგან. რეაქცია აუცილებელია, ანტისემიტიზმი აუცილებელია, პოგრომები აუცილებელია,—საჭიროა, რომ მასის თვალში „ებრაელი და ბოლშევიკი“ ერთი და იგივე არ იყოს. **ებრაელების შიში მომავალი პოგრომების წინაშე, კარლ კაუცკი უკვე ახლა ცდილობს მიმართოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ დემოკრატიის სასარგებლოდ.**

მაგრამ ანტისემიტიზმით შეპყრობილი არიან არა მასები, პოგრომებს მოახდენს არა მშრომელი უმრავლესობა, **პოგრომულია თვით დემოკრატია.** არაჩვეულებრივი პოგრომები [illegible] პოგრომულია ის მონარქიული რეაქცია, რომელიც შესაძლებელია მოვიდეს, თუ დემოკრატიის დროშის ქვეშ დამხობილი იქნა ბოლშევიზმი. კაუცკი ეუბნება ებრაელობას: რომ თქვენ ნაკლებათ აგაწიოკონ, გამოდით ახლავე ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ჩვენ ვეუბნებით ყველა მშრომელთ, ჩვენ ვეუბნებით ებრაელთა ერსაც: თუ თქვენ არ გსურთ აწიოკებული იქნეთ ყველაზე საშინელი რეაქციის მიერ, თუ თქვენ არ გსურთ მემამულეების და კაპიტალისტების ძალა-უფლების დაბრუნება, თუ თქვენ არ გსურთ გაცოფებული რეაქცია, თუ თქვენ არ გსურთ სოციალიზმის, რესპუბლიკის და მშრომელი ხალხის ყველა მონაპოვართა სრული ლიკვიდაცია, მთელი ძალებით იდექით საბჭოების რესპუბლიკის დასაცავად, ვინაიდან ეს არის ერთად ერთი მტკიცე, ერთად ერთი საიმედო გარანტია ყოველგვარი როგორც ბურჟუაზიულ-რესპუბლიკანური, ისე ბურჟუაზიულ-მონარქიული და მემამულე-მონარქისტების რეაქციის წინააღმდეგ! ვისაც არ სურს თვითმპყრობელობა, მან შეურიგებლად უნდა იბრძოლოს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც გზას უკაფავს თვითმპყრობელობას და რეაქციას!

ილ. მგელაძე (ვარდინ).

---

*) ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროსთან პოლემიკის დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ერთმა ბელადმა ს. დევდარიანმა, აღიარა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შედეგი იქნება მეფის რეაქციის გამარჯვება.

გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კამპანიის ჩატარების წესი.

დღეიდან იწყება გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კამპანია. **უჯრედების ღია სხდომებზე წარმოებებში კეთდება მოხსენებები და სამხედრო კლუბებში ეწყობა კონცერტ-მიტინგები.**

ყველა წარმოებებში იმართება ხელის მოწერა დასახმარებლად და იგზავნება მოწოდებები.

ყველა პროფესიონალური კავშირები აწყობენ სალამო-სეირნობას, რომლის მთელი შემოსავალი გადადის დახმარების ფონდში.

განათლების კომისარიატი ერთი დღის შემოსავალს თეატრებიდან და კინოებიდან აძლევს დახმარების ფონდს.

ქალაქის აღმასკომი ახდენს 10-პროც. გადარიცხვას ყველა შემოსავლიანი დაწესებულებებიდან: კარტი, ლოტო.

ორშაბათს 8 ოქტომბერს, ყველა კინოები და თეატრები მუშაობენ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

12 და 13 ოქტომბერს ეწყობა ფულის შეგროვება ყულაბებით.

კომისია წინადადებას აძლევს ამხანაგებს შემოიტანონ შემოწირულებები და გამოიწვიონ დასახმარებლად სხვა ამხანაგები.

ყველა შეკრებილი თანხები გამოიგზავნოს გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ცენტრალურ კომისიაში—ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საავ.-საპრ. განყ. 12-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტი.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს, რომელიც მჭიდროთ რაზმავს თავის რიგებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიაში!

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია

(შ. მ. ო.)

I

ადამიანი მუდამ სცდილობდა ნაკლები შრომის დახარჯვით მეტი სარგებლობა მოეტანა, როგორც თავისთვის, ისე საზოგადოებისათვისაც.

ამ მიმართულებით უაზროვნებია და უფიქრია არა ერთ და ორ პიროვნებას, არა ერთ და ორ თაობას.

მაგრამ, რადგანაც ყოველგვარ პრაქტიკულ საგანს თან ახლდა კლასობრივი სახეობა, აქაც, ამ კეთილშობილურ მიდრეკილებაშიც, ბურჟუაზიამ შეიტანა საკუთარ კლასის სასარგებლო დებულებაც და მკვლევართ და მეცნიერთ დაავალა გამოენახათ ისეთი წესი შრომის ორგანიზაციისა, სადაც ნაკლებ მასალათა დახარჯვით მეტი სარგებლობა მიეღო მას, ე. ი. ნაკლებ მასალათა დახარჯვით მაქსიმუმამდე აეყვანათ მუშის შრომის ნაყოფიერება.

ამგვარად მუშის ენერგიის ნაკლებ დახარჯვის პრინციპი უარყოფილ იქნა კაპიტალისტურ ქვეყნების მესვეურთა მიერ და მხოლოდ და მხოლოდ ყურადღება მიექცა მასალათა ნაკლებ დახარჯვას და შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმამდე აწევას.

და მართლაც, მთელს ევროპასა და განსაკუთრებით ამერიკაში მე-19-ტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მიმართულებით სწარმოებს მეტად ინტენსიური მუშაობა.

შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის მამამთავრად ითვლება ამერიკელი ინჟენერი ფრედერიკ ტეილორი, რომელიც 1882 წლიდან 1902 წლამდე პრაქტიკულათ მუშაობდა სხვადასხვა ქარხნებში და მხოლოდ 1903 წელს გამოსცა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები შემდეგი სათაურით: „სამრეწველო დაწესებულებათა ადმინისტრატიულ-ტეხნიკური ორგანიზაცია“.

წარმოებაში მეცნიერულ მეთოდების აუცილებლობა პირველად უეჭველათ ტეილორმა გამოსთქვა. ამგვარად მე-19-ე საუკუნის ბოლოში ჩნდება ახალი მეცნიერება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“.

ტეილორმა და შემდეგ მისმა მიმდევრებმა და მოწაფეებმა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია სხვადასხვა მიმართულებით განავითარეს და მართლაც, უნდა აღვნიშნოთ, რომ, სადაც კი ეს თეორია პრაქტიკაში გონივრად იქნა გამოყენებული, ყველგან ნაწარმოები იაფდებოდა და შრომის ნაყოფიერება მატულობდა.

მაგრამ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ტეილორის სისტემა ყოველ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებას ხმარობს მუშის ძალის, მუშის დონის უკიდურესი ექსპლოატაციისთვის და ამ მიზეზის გამო მუშაობის სულ მოკლე დროში, მუშა როგორც ფიზიკურათ, აგრეთვე გონებრივათ სრულებით უვარგისი და გამოუსადეგარი ხდება. ამ გვარად ტეილორის სისტემა ამ ნაწილში ჩვენთვის, რასაკვირველია, მიუღებელია.

ვნახოთ ეხლა რაზე ემყარებოდა ტეილორის სისტემის ძირითადი საფუძვლები. ტეილორი ძალიან ხშირად თავის ნაშრომში იმეორებს ერთ და იგივე ფრაზას:

„არსებული უნაყოფიერების წინააღმდეგ საშუალება სისტემატიურ ორგანიზაციაშია და არა განსაკუთრებულ პიროვნებათა გამონახვაში“-ო და შემდეგ დასძენს, რომ „კარგი მმართველობა ნამდვილი მეცნიერებაა, რომელიც სწორ კანონებს, წესებსა და პრინციპზე ემყარება“-ო.

ტეილორის სისტემა შემდეგნაირათ ყალიბდება. მთელი მუშაობა სამ ფაზად იყოფა:

პირველი ფაზა—ანალიტიური ე. ი. თეორეტიული; აქ რომელიმე ხელოსნების ყველა სამუშაო იყოფა პატარ პატარა ელემენტებათ; მუშის ნაყოფიერი მოძრაობა გამოიყოფა მისივე უნაყოფიერო მოძრაობიდან; შემდეგ სეკუნდომეტრის საშუალებით გამოიანგარიშება მუშაობის ნორმალური ხანგრძლივობა თითო ელემენტარული მოძრაობისათვის.

მეორე ფაზა—სინტეტიური ე. ი. შეჯგუფება, შეგროვება ნორმალურ და ნაყოფიერ მოძრაობათა, რომლებიც საჭიროა ერთ რომელიმე სამუშაოს შესასრულებლად; შემდეგ მათი კლასიფიკაციისა და კომბინაციის წყალობით შესაძლო უნდა იყოს მათი მარტივი გამოყენება.

მესამე ფაზა—შემოწმება. ე. ი. მიღებულ ცნობათა და ცხრილთა გადასინჯვა განხილვა; ამისთვის თავდაპირველად განისაზღვრება **დრო**, რომელიც ამ მუშაობას უნდა მოხმარდეს ცხრილის მიხედვით, ხოლო შემდეგ ის შედრება ამ მუშაობაზე დახარჯულ ნამდვილ დროს.

მეცნიერულ ორგანიზაციაში ყველაფერი წინდაწინ განაწილებული და გათვალისწინებული; აქ შემთხვევითი მოვლენებს ადგილი არა აქვს.

მეცნიერულ ორგანიზაციის მიერ წამოყენებული საკითხები საზოგადოთ შემდეგის თანდათანობით ხორციელდებიან:

ა) თავდაპირველად საჭიროა გამომუშავებულ იქნას მუშაობის მეცნიერული მეთოდები.

ბ) შემდეგ უნდა მოწესრიგდეს და შემოწმდეს ხელსაწყოები.

გ) შესწავლილ უნდა იქნეს მუშის მოძრაობანი.

დ) შესწავლილ და გამორკვეულ უნდა იქნეს მუშის დაღლილობის მიზეზები.

ე) გადარჩეულ უნდა იქნეს ის მუშები, რომელთაც უფრო ეხერხებათ ამა თუ იმ დარგში მუშაობა.

ვ) შესწავლილ უნდა იქნეს **დრო** და ბოლო.

ზ) მიღებულ უნდა იქნეს პასუხი საუკეთესო მუშის დღიური ნაყოფიერების შესახებ.

მოკლეთ რომ ვსთქვათ, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საძირკველია განადგურება და სამუშაოდან განდევნა ყველაფერი იმის, რაც კი ზედმეტია ამ მუშაობისთვის, ამ შრომისთვის, ე. ი. მუშაობის დროს უბრალოდ არ უნდა იქნას დახარჯული არც ერთი მოძრაობა სხეულისა და არ უნდა იქნას დაკარგული არც ერთი წამი სამუშაო დროისა.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას საბჭოთა სახელმწიფოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სწორედ ამით აიხსნება ის ყურადღება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აქცევს ამ საკითხს.

შრომას მეცნიერული ორგანიზაცია საბჭოთა სახელმწიფოებში შემოსულია კაპიტალისტურ ქვეყნებიდან. იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების შემდეგ, „შმო“ (შრომის მეცნიერული ორგანიზაცია) ჩვენ მოგვევლინა ხან მეცნიერულ დისციპლინის, ხან მეთოდის, ხან მიღწევის, ხან კიდევ დასამუშავებელ სამეცნიერო მასალის სახით. რასაკვირველია, სახელმწიფო ყურადღებას აქცევს ამ მოვლენას და ის ისე გადაახალისებს, ვიტყოდი, გადაადუღებს შმოს, როგორც ამას მოითხოვს მუშათა და გლეხთა ინტერესები.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში გასულ საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით მიმდინარე საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა მთელი რიგი გამოყენებითი მეცნიერებისა: ფსიხოტეხნიკა, ადმინისტრატიული ტეხნიკა. ტეხნიკურ რაციონალიზაციის მეთოდი და სხვა.

მაგრამ აქ საჭიროა ბურჟუაზიულ კულტურის საერთაშორისო „ბაზრიდან“ ჩვენში გადმოსულ „საქონლის“ გადარჩევა-გადასინჯვა, დამუშავება და ჩვენდა სასარგებლოთ გამოყენება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაციის შესახებ ამხ. ლენინის წერილების შემდეგ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელობას ღებულობს საბჭოთა სახელმწიფოებში „შმო“. ამხ. ლენინის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ „შმო“ გამოყენებულ იქნას სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებისათვის ე. ი. რომ „შმომ“ გაუადვილოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას მუშაობა საკონტროლო დარგში და მით გაანთავისუფლოს იგი წვრილმან მეთვალყურეობისაგან და მისი მთავარი ძალა მიამართოს შემოქმედებითი რეორგანიზაციისაკენ.

შემდეგ, პარტიის მე-12 ყრილობამ სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია წამოაყენა დიდ და მორიგ საკითხათ მიმდინარე უახლოეს წლებში გადასაწყვეტათ.

ამ რეორგანიზაციის გამტარებლათ და ხელმძღვანელათ, როგორც ვიცით, წამოყენებულია მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელმაც თავდაპირველათ თვითონვე უნდა განიცადოს ეს რეორგანიზაცია.

მაგრამ რეორგანიზაციის ცხადსაყოფად საჭიროა თავდაპირველათ ვიცოდეთ, თუ რაში უნდა გამოიხატოს სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის რეალიზაცია. ჩვენ არ შევცდებოდით გვეთქვა, რომ ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა გაუმჯობესდეს თვით მუშაობის ტეხნიკა. მაგრამ ამ საკითხის შესახებ შემდეგ.

ინჟ. ალშიბაია.

გახსოვდეთ, რომ გერმანიის მშიერი პროლეტარიატი საბჭოთა რესპუბლიკების მშიერ მუშებს ეხმარებოდა!

გახსოვდეთ, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს გერმანიის პროლეტარიატი არ უშვებდა იარაღს თავად-აზნაურულ პოლონეთისათვის!?

გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას,- გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

რადიო-დეპეშები

(„როსტა“-ს ცნობები)

რა ხდება გერმანიაში

მთავრობის კრიზისი: შტრეზემანი გადადგა, თუმცა პრეზიდენტ ებერტს ჯერ არ მიუღია მისი გადადგომა. მოელიან მთელ მთავრობის გადადგომას.

რეიხსტაგის კომფრაქციამ წინადადებით მიმართა სოციალ-დემოკრატიას ერთიანი მოქმედების კომიტეტის დაარსების შესახებ.

შავი ძალები: სამხედრო მინისტრის მიერ აკრძალული [illegible] გაზეთი კვლავ გამოდის. ფაშისტები აშკარად ლაპარაკობენ შპანდაუს დაპყრობის სურვილის შესახებ.

ჰიტლერმა განაცხადა, რომ გერმანიაში მოსალოდნელია დიდი ამბებიო.

გერმანია გამარჯვებულთა ტყვეობაში: გერმანია სთხოვს საფრანგეთის მთავრობას განაახლოს რურში მუშაობა.

საფრანგეთის პრესა მოითხოვს, გერმანიას, მიეცეს ახალი წინადადება კონტრიბუციის გადახდის შესახებ.

საფრანგეთის ნაციონალისტები მოითხოვენ, რომ რეიხსტაგმა ოფიციალურად იცნოს გერმანიის დამარცხება.

მთავრობის კრიზისი

შტრეზემანის კაბინეტის კრიზისი

ბერლინი. 4 ოქტომბერი გერმანიის კაბინეტის სხდომა გაგრძელდა მთელი ღამის განმავლობაში. კრიზისი დღემდეც გადაუჭრელია. სახელმწიფო მეურნეობის მინისტრი, სახალხო პარტიის წევრი რაუმერი გადადგა. მან თვისი გადადგომის მოტივათ წამოაყენა ის, რომ მას აღარ ძალუძს გაატაროს თავისი ეკონომიური და სოციალური პროგრამა.

სახალხო პარტიის [illegible] მოითხოვს კაბინეტის რეორგანიზაციას იმის შემდეგ, როცა ფინანსთა მინისტრი, ჰილფერდინგი და სასურსათო მინისტრი ლიუტერი გადადგებიან; დემოკრატებს და სოციალ დემოკრატებს არ სურთ მათი გაწირვა.

შტრეზემანმა მოითხოვა გადადგომა.

ბერლინი. 4 ოქტომბერი. კაბინეტის ხანგრძლივი სხდომის შემდეგ, შტრეზემანმა მოითხოვა გადადგომა. პრეზიდენტ ებერტს ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება ამ საკითხის გამო.

უკანასკნელი დღეები.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. შტრეზემანის კაბინეტის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. რეიხსტაგის სახალხო პარტიის ფრაქციის ბელადი შოლცი მოითხოვს, რომ მთავრობაში შევიდნენ გერმანიის ნაციონალისტები. ამის გარდა, გერმანიის სახალხო პარტია მოითხოვს საგანგებო კანონის გამოცემას, რომელიც მთავრობას უფლებას მიანიჭებს დამოუკიდებლად გადასწყვიტოს პოლიტიკური, ეკონომიური და ფინანსიური საკითხები, აგრეთვე მოითხოვენ რეიხსტაგის დათხოვნას 1924 წლის 31 მარტამდე, სამუშაო დღის გადიდებას მრეწველობის ყველა დარგებში და უმუშევრებისათვის დახმარების მიცემის მაგივრად სახელმწიფო დაზღვევის შემოღებას.

რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მხარი მისცა იმ მოსაზრებას, რომ მთავრობას უფლება ჰქონდეს მხოლოდ ფინანსიური საკითხების გადაწყვეტისა, დანარჩენი მოთხოვნილებანი კი სახალხო პარტიისა უარჰყო. ამის გამო გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრი რაუმერი სახალხო პარტიის წევრი, დემონსტრატიულად გადადგა თანამდებობიდან.

სოციალ-დემოკრატმა როზენფელდმა, ფრაქციის მემარცხენე ფრთის სახელით, წინადადება შეიტანა, სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების საზიარო თანამშრომლობის შესახებ, განსაკუთრებულ დამაფიქრებელ მდგომარეობის გამო.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობამ უარჰყო ეს წინადადება.

რეიხსტაგის კომფრაქციამ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მიმართა ღია წერილით და წინადადება მისცა ერთად მოქმედებისა, უპირველეს ყოვლისა კი მოითხოვს საერთო მოქმედების კომიტეტის შექმნას.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ჯერ პასუხი არ მიუცია. მაგრამ ეჭვი არავის უბადება, რომ პასუხი უარყოფითი იქნება.

ნაციონალ-დემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგია მემარჯვენე კოალიციის გაფართოვებისა, თუმცა საგანგებო კანონის გამოცემის შესახებ ამ ფრაქციას ჯერ არა აქვს გარკვეული აზრი.

მთავრობის პარტიების ლიდერების თათბირი.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. სწარმოებს მთავრობის პარტიების ლიდერების თათბირი იმ პროგრამის გარშემო, რომელიც შეიმუშავა შტრეზემანმა რეიხსტაგისათვის წარსადგენად.

პარლამენტის წრეების აზრი

ბერლინი. 3 ოქტ. პარლამენტის წრეებში ფიქრობენ, რომ შტრეზემანის მთავრობის კრიზისი შეიძლება გადაჭრილი იქნეს ორი გზით: 1) დიდი კოალიცია დარჩება, მაგრამ ზოგიერთი პერსონალური ცვლილებით, მთავრობაში ყველა მთავრობის პარტიის მემარჯვენე ფრთების წარმომადგენლების შეყვანის გზით ან 2) შეიქმნება წმინდა ბურჟუაზიული კაბინეტი, რომელშიც შევლენ ნაციონალისტებიც.

უფრო მოსალოდნელია, რომ კრიზისი გადიჭრება უკანასკნელი გზით.

მოსალოდნელია მთელი კაბინეტის გადადგომა.

ლონდონი. 4 ოქტომბერი. ბერლინის ბირჟის ცნობით, შტრეზემანი გადადგა.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, სოციალ-დემოკრატებმა 61 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 54-სა უარჰყვეს კომპრომისი, რომელიც წამოაყენა კაბინეტმა. მოსალოდნელია მთელი კაბინეტის გადადგომა.

კომპრომისი გამოიწვევს სამხედრო დიქტატურას.

ლონდონი. 4 ოქტომბერი. როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, კომპრომისი გზას უხსნის შტრეზემანის მთავრობას მხოლოდ ერთად ერთი მიმართულებით: გენერალ ფონ-სეკტის სამხედრო დიქტატურისაკენ. თუ კომპრომისის ცდა მოიტანს დადებით შედეგს, მაშინ მთავრობა დადგება დიდი და სერიოზული ამბების შესაძლებლობის წინაშე ბავარიაში, რომელიც შეიძლება ჩამოშორდეს საიმპერიო ფედერაციას რუპრეხტის ტახტზე აყვანის გზით.

რაუმერის და ლიუტერის გადადგომა მიღებულია.

ლონდონი 4 ოქტ. **შტრეზემანმა მიიღო სახალხო მეურნეობის მინისტრის რაუმერის და სასურსათო მინისტრის ლიუტერის გადადგომა.**

შტრეზემანს მხარს არ უჭერს თვით საკუთარი პარტიაც.

პარიზი. 4 ოქტ. რეიხსტაგის სხდომა, რომელზედაც შტრეზემანს უნდა გამოექვეყნებია თავისი პოლიტიკური პროგრამა და მიეღო ნდობის ვოტუმი, გადაიდო მთავრობის უმრავლესობაში სერიოზული გათიშვის გამო. მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა გუშინ მთელი დღის განმავლობაში, ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა, რომ კაბინეტის მდგომარეობა შეირყა, რადგანაც შტრეზემანს მხარს არ უჭერს თავისი საკუთარი, ე. ი. სახალხო პარტიაც.

შავი ძალები

ჰიტლერის ეშინიათ.

პარიზი. 3 ოქტ. მეტათ დამახასიათებელი და მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ სამხედრო მინისტრის მიერ აკრძალული ჰიტლერის გაზეთი კვლავ დატუსაღებასაც მოითხოვდა ბერლინის მთავრობა, ჯერ-ჯერობით თავისუფალია. ბავარიის პოლიტიკურ მდგომარეობის საშიშროება კიდევ უფრო ღრმავდება იმით, რომ ბავარიის დიქტატორმა კარმა განაცხადა, რომ ის მზათ არის მიიღოს ყველა ნაციონალისტების დახმარება, რომელნიც მზათ არიან კომუნიზმთან საბრძოლველათ.

შტრეზემანი მოითხოვს ახალ სადიქტატურო რწმუნებებს.

პარიზი. 3 ოქტომბერი. მთავრობისა და პარტიების ლიდერთა თათბირზე, შტრეზემანმა მოითხოვა მთავრობისათვის ახალ სადიქტატორო რწმუნებების მინიჭება ეკონომიურ ფინანსიურ და რესპუბლიკის დაცვის საკითხებში.

ფაშისტები გათამამდნენ.

პარიზი. 3 სექტემბერი. გერმანელი ფაშისტები გათავხედდნენ და აშკარათ აცხადებენ თავის განზრახვებს. ჰეტტინგენი და შპანდაუს დაპყრობის შესახებ.

ჯარების დათვალიერება

ბერლინი. 2 ოქტ. პრინც რუპრეხტის, კარის, კნილინგის და ლოსსოვის თანადასწრებით კვირას მიუნხენში მოხდა ჯარების და პოლიციის დათვალიერება.

ჰიტლერი ხელს უწყობს შავ ძალებს.

ბერლინი. 2 ოქტ. ფაშისტების ორგანო „ფელკიშერ ბეობახტერში“ ჰიტლერი მოაგონებს ბავარიის ნაციონალისტებს, რომ ყველა ის პირები, რომელნიც ჩაწერილი არიან სამხედრო კავშირებში, ვალდებულნი არიან 9 დღის განმავლობაში ჩაეწერონ მებრძოლ ფაშისტურ კავშირებში. თუ ეს წინადადება არ იქნება შესრულებული, ჰიტლერი ნაციონალისტურ პარტიიდან გამორიცხვით იმუქრება. ჰიტლერის დამკვრელი ბათალიონი მოუწოდებს ყოფილ ჯარისკაცებს ჩაწერონ ბათალიონში.

კიუსტრინის ამბოხების ლიკვიდაცია.

ოქსფორდი. 2 ოქტ. ბერლინიდან მიღებულ ცნობით, ამბოხება კიუსტრინში ჩაქრობილია, 400 მეამბოხე ტყვეთ არის წაყვანილი და განიარაღებულია. მეამბოხეებმა მრავალი მოკლული დაკარგეს, მრავალიც დაჭრილია.

კარის „ამაღლება“.

ბერლინი. 2 ოქტ. საპარლამენტო წრეებში ირწმუნებიან, რომ ბავარიის პრემიერი კნილინგი სტოვებს თავის პოსტს და მის ადგილს კარი იჭერს.

ჰიტლერი შიშის ზარს სცემს.

ბერლინი. 2 ოქტომბერი. ბაირეტში ნაციონალურ დღის ზეიმზე ჰიტლერმა თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ უახლოვდებით მძიმე ხანას. კატასტროფა, რომელიც მოხდება გერმანიაში, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება თავისი შედეგებით, ვიდრე რუსეთის რევოლიუციაო“.

პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციის აღკრძალვა.

ბერლინი. 2 ოქტომბ. [illegible] გამოქვეყნებულია განკარგულება სოციალ დემოკრატიულ და კომუნისტურ თავდაცვის ორგანიზაციების აკრძალვის შესახებ. პროლეტარული რაზმები ვალდებული არიან ჩააბარონ მთავრობას იარაღი. მონაწილეობა თავდაცვის პროლეტარულ ორგანიზაციებში დაპატიმრებით ისჯება.

ცალმხრივი „საალყო წესები“.

ბერლინი 3 ოქტ. „ფორვერტს“-ი იუწყება, რომ ბაირეტში იარაღის აღმოჩენის მიზნით გაჩხრეკილია სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბინა. იმავე დროს ბაირეტის ფაშისტები სარგებლობენ იარაღის ტარების უფლებით და მრავალრიცხოვან ბრბოებით ქუჩებზე დაეხეტებიან.

ერთგული გენერალი.

ბერლინი. 3 ოქტ. გერმანიის მეექვსე სამხედრო ოლქში შედის ჰანოვერი, ვესტფალია, ბრაუნშვეიგი, ოლდენბურგი და ბრემენი. ეს არის რურის ოლქის ოკუპაციის გარეშე დატოვებული ნაწილები. მეექვსე სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალმა ლოსბერგმა აღკრძალა ყოველგვარი ფარული კრებები და განკარგულება გასცა, რათა დაზალონ პროლეტარული ასეულები და პროლეტარიატის თავდაცვის სხვა ორგანიზაციები

კარი მხოლოდ მუშებს უმიზნებს.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. კარმა ორი ახალი განკარგულება გამოსცა, რომლებიც მუშების წინააღმდეგაა მიმართული. პირველი განკარგულებით შემოღებულია სიკვდილით დასჯა „სახელმწიფოს ღალატისათვის“, მეორეთ კი აღკრძალულია გაფიცვები ხანგრძლივი დაპატიმრების მუქარით და სიკვდილით დასჯით. წარმოების საბოტაჟის დროს, გაფიცულთათვის მომხრეობის გასაწევად, დანარჩენ მუშებს ძალმომრეობით ემუქრებიან.

კარი და... მარქსიზმი.

ბერლინი. 3 სექტემბერი. გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს, კარმა განაცხადა: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიჭიროთ გარკვეული პოზიცია მარქსიზმის მიმართ. მხოლოდ ბრძოლას მიჰყავს მიზნამდე“.

„ფორვერსტს“-ი ახასიათებს კარის ახალ განკარგულებებს, როგორც ნიადაგის შემზადებას ფაშისტურ ხელისუფლებაზე გადასასვლელათ.

ბავარიის სოციალ-დემოკრატები არხეინათ არიან.

ბერლინი. 3 ოქტ. ბავარიის სოციალ-დემოკრატიის ბელადმა „ფორვერტს“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს, განაცხადა, რომ ბერლინისა და საქსონიის სოციალ-დემოკრატების შეშფოთება ბავარიის ამბების გამო, ნაადრევია, მიუნხენის სოციალ-დემოკრატები არ იზიარებენ ამ შეშფოთებას.

თავდაცვის რაზმების დაშლის ცდასაც მიუნხენის სოციალ-დემოკრატები **გულდამშვიდებით უცქერიან.**

გერმანია გამარჯვებულთა ტყვეობაში

გერმანია ქედს იხრის საფრანგეთის წინაშე.

ბერლინი, 2 ოქტომბერი. სოციალ დემოკრატიული პრესბიუროს ოფიციალურ ცნობით, გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა საფრანგეთს. შეუდგნენ ოფიციალურ მოლაპარაკებას რურის ოლქში მუშაობის სრულ განახლებისათვის.

მევახშეთა მადა

პარიზი, 3 ოქტომბერი. იხილავენ რა პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას, ნაციონალურ ბლოკის პოლიტიკურ წრეებში მოითხოვენ, რომ გერმანიას წარედგინოს კონტრიბუციის გადახდის ახალი პირობები, რომელთა შეუსრულებლობა საბაბს მისცემდა საფრანგეთს გააგრძელოს ოკუპაცია. „ჟურნალი დე დება“ მოითხოვს, რომ რეიხსტაგმა დაამტკიცოს წინააღმდეგობის მოსპობა და იცნოს გერმანიის დამარცხება. რადიკალები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ მთავრობის საკონტრიბუციო პოლიტიკის გამო. „ერ ნუველ“-ი კითხულობს, რა სურს საფრანგეთს: კონტრიბუციის მიღება თუ სამოქალაქო ომი გერმანიაში?

იტყობინებიან, რომ პრუსიის მოხელეები დაშვებული არ იქნებიან თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლათ ოკუპაციაქმნილ ოლქში და ყველა თანამდებობები შეინახებათ საკავშირო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს

ბულგარეთის რევოლიუციის ჩაქრობა

რევოლიუციის დამარცხებაში როლი ითამაშა აგრეთვე ღალატმა. კოლაროვი და დმიტროვი იმყოფებიან სამხრეთ-სლავიაში.

მაკედონიის ჯარისკაცების მიერ მოკლულ არის 3000 აჯანყებული; ვიდინეში კიდევ მოჰკლეს 1000 ტყვე.

რუმინია თავის საზღვრებში არ ღებულობს ბულგარეთიდან გაქცეულ აჯანყებულთ.

მთავრობა საშინელ ზომებს ღებულობს მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ.

აჯანყებულთა მოძრაობის დამარცხება—ღალატის შედეგია.

ვენა. 3 ოქტომ. სამხრეთ სლავიის გაზეთების ცნობით, კოლაროვი და დმიტროვი, რომლებმაც გადალახეს სამხრეთ სლავიის საზღვარი, მოთავსებული იქნებიან სამხრეთ სერბიის ერთ-ერთ პროვინციალურ ქალაქში. **კომუნისტების ორივე მეთაურებმა განაცხადეს, რომ აჯანყებულთა მოძრაობის დამარცხება ღალატის შედეგია.** მათი სიტყვებით, აჯანყებულთა მიერ რამოდენიმე პუნქტების აღების შემდეგ, მათ განზრახვა ჰქონდათ წასულიყვნენ სოფიაზე, სადაც უნდა მომხდარიყო აჯანყება. მაგრამ ღალატის გამო, სოფიის მოძრაობა აღმოჩენილ იქნა, რამაც შეუძლებელი გახადა იქ გამოსვლა და დამარცხება მოუმზადა ჩრდილოეთ ბულგარეთის აჯანყებას.

რეაქციის საშინელებანი.

ვენა. 3 ოქტომ. სამხრეთ სლავიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, **ფერდინანდოვოს, ბერკოვიცისა და ბელოგრადჩიკის აღების დროს მაკედონიის ჯარისკაცების მიერ მოკლულ იქნა ოჯახებით 3000 აჯანყებული. ვიდინეში მოკლულია 1000 ტყვე.** სერბიის საზღვართან ახლოს მოკლულ იქნენ 2000 ლტოლვილები, რომელნიც გარშემორტყმული იყვნენ მაკედონელების მიერ.

რუმინიას დამსახურება სურს.

ვენა. 3 ოქტომ. სამხრეთ სლავიის გაზეთების ცნობით რუმინიის მთავრობამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუმინიაში გამოჩნდებიან ბულგარეთის კომუნისტ-ლტოლვილები, ეს უკანასკნელები მიცემული იქნებიან ბულგარეთის მთავრობის განკარგულებაში.

შურს იძიებენ მშვიდობიან მცხოვრებლებზე.

ვენა. 3 ოქტომ. „როსტა“-ს ვენის კორესპონდენტმა ნიშიდან მიიღო დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ კოლაროვი, დმიტროვი და გლეხთა პარტიის წევრები კოსსოვსკი, სტანჩევი და სხვები. დეპეშაში აღნიშნულია, რომ **ცანკოვის მთავრობა, რომელმაც ჩააქრო აჯანყება ტყვიისმფრქვევლებისა და ვრანგელის მომხრეების დახმარებით, ეხლა ჯავრს იყრის მშვიდობიან, უიარაღო მცხოვრებლებზე. ხვრეტენ აგრეთვე ტყვეებსაც. აღრჩობენ აჯანყებულთა ოჯახებს. ცეცხლს აძლევენ მთელს სოფლებს.** მთავრობის ბანდების სიმხეცე და სისხლის წყურვილი აუწერელია. დაღუპვა და სიკვდილი ელის უბედურ ქვეყანას.

ბულგარეთის მუშებისა და გლეხების სახელით ბულგარეთის მშრომელთა წინამძღოლები პროტესტს აცხადებენ განათლებულ ხალხთა წინაშე ადამიანობის კანონების უხეშ დარღვევის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ყველა ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს დაიცვან დაჩაგრულთა ინტერესები.

ნაწილობრივი უკან დახევა

ვენა. 1 ოქტომ. ბულგარეთის მთავრობა იუწყება, რომ მეამბოხეთა ორმა რაზმმა მთებსკენ დაიხია მას შემდეგ, რაც მთავრობის ჯარმა ფერ[illegible] **გრძელდება.** ბელგრადიდან იუწყებიან, რომ 2000 მეამბოხე დამარცხების შემდეგ, სამხრეთ-სლავიის საზღვარზე გადავიდა.

მდგომარეობა იაპონიაში

სამხრეთ კორეიაში გრძელდება აღშფოთება იაპონიის მხეცობის გამო; იაპონიის ხელისუფლებამ აუკრძალა კორეელებს იაპონიიდან გასვლა კორეაში.

კორეელებისადმი დახმარებისათვის დახვრიტეს მისიონერი ოკინსეტი.

იაპონიის პრესა იხილავს საკითხს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

მხეცობა გრძელდება

ვლადივოსტოკი 2 ოქტ. სამხრეთ კორეიაში გრძელდება აღშფოთება იაპონიის მხეცობის გამო. იაპონიის ხელისუფლებამ აღუკრძალა კორეელებს იაპონიიდან კორეიაშია გამგზავრება და იქიდან უკან დაბრუნება.

დახვრეტა კორეელებისათვის დახმარების მიცემის გამო.

ვლადივოსტოკი. 2 ოქტ. კორეელი მისიონერი სკინსეტი, რომელმაც სცადა დახმარების გაწევა მიწისძვრის გამო დაზარალებულ კორეელებისათვის, **დახვრიტეს იაპონიის ჯარისკაცებმა.**

საკითხი ს. ს. რ. კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

ოსაკა. 2 ოქტ. პეკინში იაპონიის ელჩის იოშაკარის და კარახანის შეხვედრის გამო, **იაპონიის პრესა გაცხარებით იხილავს საკითხს იაპონიის და ს. ს. რ. კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ.**

„მაინიჩი“ სწერს: „მთავრობის პროგრამის ერთ-ერთ ძირითად მუხლს შეადგენს საკითხი ს. ს. რ. კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების შესახებ. მაგრამ, ამ საკითხის განხილვა უნდა გადაიდოს იაპონიის აღდგენამდე“

„ასახი“ თავის მოწინავე წერილში აღნიშნავს: „რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება შეიძლება უფრო ადრე განახლდეს, ვინემ ამას მოელიან, მით უფრო, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი იუუინი მომხრეა ს. ს. რ. კავშირთან დაუყოვნებლივ შეთანხმების. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, იუუინმა განაცხადა: „ჩვენ ყველანი მომხრე ვართ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის. მაგრამ მოლაპარაკების დაწყების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა, მით უფრო, რომ იაპონია სავსებით გართულია მუშაობაში იაპონიის აღდგენის მიზნით“.

გაზ. „ხოცი“ იტყობინება, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი იუუინი მომხრეა დაჩქარებით დაიწყოს მოლაპარაკება.

იაპონიის დელეგაციის მადლობა.

მოსკოვი. 3 ოქტ. ამხ. კალინინის, კამენევის, ჩიჩერინის, კრასინის, ლეჟავას, პიატაკოვის, მინკინის და ვიხოვსკის სახელზე მიღებულია საკავშირო გამოფენაზე იაპონიის დელეგაციის თავმჯდომარე იამასაკისაგან შემდეგი დეპეშა: „**უღრმეს მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენს ხალხს იმ თავაზიანი მიღებისათვის, რომელიც ჰპოვა ჩვენმა დელეგაციამ თქვენს მხარეში ყოფნის დროს**“.

მორატორიუმის გაუქმება.

ბერლინი. 2 ოქტ. აღიარეს რა, რომ იაპონიის მდგომარეობა საკმაოთ აღდგენილია, იაპონიის ფინანსთა მინისტრმა გააუქმა მიწისძვრის პირველ დღეებში გამოცხადებული მორატორიუმი.

პარლამენტის საგანგებო სესია.

ბერლინი. 2 ოქტ. **ნოემბერში გაიხსნება იაპონიის პარლამენტის საგანგებო სესია.**

პოლონეთ-ჩეხიის უთანხმოება

ერთა ლიგაში გააშავეს პოლონეთის წარმომადგენელი და აირჩიეს ჩეხიის წარმომადგენელი ბენეში; აღნიშნულ ფაქტს უცქერიან როგორც ჩეხო-სლოვაკიის გამარჯვებას მცირე ანტანტაში.

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ბენეშის არჩევას ერთა ლიგაში უცქერიან როგორც პუანკარეს დამარცხებას.

მილიერანი გაემგზავრა ვარშავაში პოლონეთ ჩეხიის უთანხმოების მოსაგვარებლად.

ჩეხო-სლოვაკიის გამარჯვება.

პრაღა. 2 ოქტომბერი. **30 ხმით წინააღმდეგ 16-სა ბენეში არჩეულია ერთა ლიგის საბჭოში, ხოლო სკირმუნტი გააშავეს.** ამას უცქერიან როგორც ჩეხო სლოვაკიის გამარჯვებას მცირე ანტანტაში.

პუანკარეს მარცხი.

პარიზი. 2 ოქტომბერი. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ბენეშის ერთა ლიგაში არჩევას უცქერიან როგორც პუანკარეს დამარცხებას, რადგანაც უკანასკნელი მხარს უჭერდა სკირმუნტის კანდიდატურას. ბენეშს მხარს უჭერდენ ინგლისის დომინიონები სკირმუნტს, გარდა საფრანგეთისა, მხარს უჭერდენ იტალია, იაპონია, ესპანეთი, ბელგია და ბალტიის განაპირა სახელმწიფოები. ბენეშმა მიიღო 30 ხმა, ხოლო მეორემ მხოლოდ 17.

მილერანი მშვიდობიანობის შტოთი.

პრაგა. 2 ოქტომბერი. პრაგ **მილერანი გაემგზავრა ვარშა პოლონეთ-ჩეხიის უთანხმოების მოსაგვარებლათ მოლაპარაკების მართვის მიზნით.**

შეცდომის გასწორება

გაზეთის გუშინდელი № ის მეორე წერილში, ბულ[illegible] შესახებ, შეპარულია შეცდომა, რომელიც [illegible] გარეთის რევოლიუციის ჩაქრობაში, რომელსაც მეთაურობენ [illegible] და სხვა. სიტყვა „რომელსაც“ შემდეგ [illegible] სიტყვა: (რევოლიუციას) შემდეგ სწერია „ძლევამოსილი მუშათა რევოლიუციამ“... უნდა იყოს: „ძლევამოსილმა“ და სხვა.

სხვადასხვა

ავსტრია

შეტაკება ფაშისტებსა და სოციალ დემოკრატებს შორის

ჰანოვერი. 2 ოქტომბერი. შაბათს ვენის გარეუბნებში სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. მოკლულია ერთი სოციალ-დემოკრატი, რამდენიმე მძიმედაა დაჭრილი.

ჩინეთი

ბრძოლა უცხოელებსა და ჩინელებს შორის.

პეკინი. 2 ოქტომბერი. მდ. ანგტოეს მისადგომში ჩინეთის ჯარს ბრძოლა ჰქონდა უცხოეთის სამხედრო გემებთან. ბრძოლის საბაბი ის იყო, რომ უცხოეთის სამხედრო გემები იარაღს აწვდიდენ ჩინეთში მებრძოლ პარტიებს.

ინდოეთი

ინდო-მუსულმანთა შეთანხმება.

ქაბული. 2 ოქტომბერი. სრულიად ინდოეთის ეროვნულ ყრილობაზე შეთანხმება მოხდა ინდო-მუსულმანთა შორის. ამ შეთანხმებით გათვალისწინებულია სამოქალაქო რაზმების შედგენა ორივე თემის შორის სამხედრო შეტაკების ასაცილებლად. დადგენილია ბოიკოტი გამოუცხადონ თემთა შორის შუღლის გამაღვივებელ გაზეთებს.

პოლონეთი.

მარკა ეცემა, ფასები მატულობს.

ვარშავა. 2 ოქტომბერი. **მარკის კურსის ხელახლათ დაცემის გამო, ფასები ყველა საქონელზე მატულობს.** ლოძის ფაბრიკანტები აწესებენ ფასებს მანუფაქტურაზე დოლარებით. გარიგება ხდება შემდეგ ანგარიშით: დოლარი უდრის 1 მილიონ პოლონურ მარკას.

პოლონეთის მოხელეები აპირებენ გამოსვლას.

ვარშავა. 2 ოქტომბ. მღელვარება სახელმწიფო მოხელეებს შორის ძლიერდება. ვარშავაში მოდიან სახელმწიფო მოხელეების დელეგატები ლვოვიდან, კრაკოვიდან, პოზნანიდან და სილეზიიდან, რომლებსაც სურთ თათბირის გამართვა ვარშავას განიზაციებთან შეთანხმებულათ მოსვლის შესახებ.

ესპანეთი

მუნიციპალიტეტის დარბევა

ბერლინი. 3 ოქტომბერი. მად დიდან მიღებული ცნობების თანახ მთავრობის განკარგულებით, მთ ესპანეთში გაუქმებულია ყველა ნიციპალიტეტები, რომელთა მაგი შემოღებული იქნება განსაკუთრებ ორგანოები; ეს ორგანოები შედგ ლიქნება სავაჭრო-სამრეწველო წ ბის წარმომადგენლებისაგან.

ინგლისი

მისალმება რაკოვსკისადმი

ლონდონი. 2 ოქტომბერი. „ო რვერ“-ი მხურვალე სალამს უძღ ამხ. რაკოვსკის, რომელიც ჩა ინგლისში ს. ს. რ. კავშირის სავა წარმომადგენელის სახით.

იტალია

ს. ს. რ. კავშირის მიწვევა მხ ტვრულ ნაწარმოებთა საერთაშ სო გამოფენაზე.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. მოსკ მყოფმა იტალიის დელეგაციამ გა სცა გარეშე საქმეთა სახალხო კ სარს ს. ს. რ. კ. მხატვრების ბარ მხატვრულ ნაწარმოებთა საერთა რისო გამოფენაზე. გამოფენა გ სნება 1924 წ. აპრილში ვენეცია

ლიტვა

რწმუნების სიგელების ჩაბარე

კოვნო. ს. ს. რ. კ სრულუფლებ წარმომადგენელმა ლორენცმა ლი რესპუბლიკის პრეზიდენტს ჩააბ რწმუნების სიგელი.

შვეცია

დიდი კონფლიქტის წინ.

სტოკჰოლმი. 2 ოქტომბერი. მან ნების ამშენებელ მრეწველობის მე მოიჯარეებმა დაარღვიეს ხელშეკრულ მუშებთან და 1 იანვრიდან ფიქრო შრომის ხელფასის შემცირებას. მ რმოებლების ასეთი მოქმედება ემ 100,000 მუშებს ინტერესებს. ელ დიდ კონფლიქტს.

უცხოეთის ცხოვრება

ლოკაუტები შვეციაში

903—1923 წ.

შვეციაში მომხდარმა ლოკაუტებმა 1903—1923 წ.წ. გამოიწვიეს 40 მილიონი სამუშაო დღეების დაკარგვა; მათ შორის 1922 წელში 2 ნახ. მილიონი სამუშაო დღის, 1920 წ.—9 მილ. სამუშაო დღის და 1909 წ. (დიდი გაფიცვების წელიწადი) დაიკარგა 11,8 მილ. სამუშაო დღე.

ყველაზე უფრო ცოტა სამუშაო დღეებისა დაკარგულ იქნა 1910—39 და 1915 წ.—83 300 სამუშაო დღე.

მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მომხდარ ლოკაუტის შესახებ მოიპოვება შემდეგი ცნობები: 1922 წელში საამშენებლო მრეწველობაში შეჩერებული იყო სახელოსნოების 23 პროც. (1912—1921 21 პროც.) და უმუშევრად დარჩა 34 პროც., ხის დასამუშავებელ მრეწველობაში—16 პროც. სახელოსნოებისა (1912—1921 16 პროც.) ამ დროს უმუშევართა რიცხვი უდრის 22 პროც., ლითონის მრეწველობაში 14 პროც. (1912—1921 წ.—12 პროც.), უმუშევრები კი პროც.

კონფლიქტების მთავარ მიზე (78 პროც.) იყო მწარმოებელთა შემცირებიათ ხელფასი.

უმეტეს შემთხვევებში კონფლ ტები ბოლოვდებოდენ კომპრომის ამგვარად 1921 წელში 21 შემთ ვაში გაიმარჯვეს მეპატრონეებ 23 პროც.—მუშებმა, 51 პროც. დ თავრდა კომპრომისით და 5 პრ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, 1912 1921 წ.წ. შეფარდებითი ციფრ უდრიდა 26 პროც., 25 პროც., პროც., 4 პროც.

იმ წარმოებებში, სადაც ლოკაუ იყო გამოცხადებული დარაზმულ შების წინააღმდეგ 24 პროც. კო ფლიქტებისა მოიგეს მუშებ 16—მეპატრონეებმა; იქ კი, სად მუშები არ იყვნენ დარაზმულნი, მოიგეს კონფლიქტების 4 პრო ხოლო მეპატრონეებმა—20 პროც.

წითელი [illegible]

რუსეთი.

ნიჟეგოროდის ბაზრობის შედეგები.

მოსკოვი 3 ოქტომბერი. ნიჟეგოროდის ბაზრობის კომიტეტის წევრმა ამხ. ფირსოვმა, „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ **ბაზრობის საერთო ბრუნვა გამოიხატა 311 მილ. მანეთში ოქროთი.** სჭარბობდენ სახელმწიფო ორგანოების და კოოპერაციის გარიგებანი. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბრუნვამ ბაზრობაზე მიაღწია 12 მილ. ოქროს მანეთს; გაყიდულია 8 მილ. მან. საქონელი, შესყიდულია 4 მილიონის. გაყიდვა და შესყიდვა სწარმოებდა უმთავრესათ კოოპერაციის საშუალებით და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი კერძო პირთა საშუალებით.

რევოლიუციის მებრძოლთა სახ გებლოთ.

მოსკოვი 3 ოქტომბერი. **რევოლიუციონერთა დამხმარე საზო დოების ხალარში პროფინტერნი გან შემოვიდა 6.200 ოქროს მანე რომელიც შეგროვილი იყო პრო კავშირების მიერ დასავლეთ ქვე ნების რევოლიუციის მებრძოლ სასარგებლოთ.**

წ ვ ი მ ე ბ ი.

სიმფეროპოლი. 3 ოქტომბერი. ხ გრძლივ გვალვის შემდეგ, რომელ შეიჩერა ანეულების თესვა, დაი წვიმები.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აჭარა

ესკადრის მოსვლის გამო.

ბათომი. 3 ოქტ. კვირას, ავდრის მიუხედავად, მოხდა გარნიზონისა და შავის ზღვის მოსული ესკადრის მეზღვაურთა გაერთიანებული პარადი, რომლის დროსაც ესკადრას გადა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ახა გაზრდათა კავშირის დროშა. მეო დროშა გადასცა ესკადრას აჭარ ცენტრალურმა აღმასრულებელმა მიტეტმა. მე-3 ნაღმის ჩამყოფი ვიდან, შავი ზღვის საზღვაო ძალ უფროსმა ამხ. ვეკანმა სამადლობელ სიტყვა წარმოსთქვა.

ნავთსადგურში.

ათომი. 3 ოქტ. დიდი ხნის შეწ- ვის შემდეგ, სტამბოლიდან მოვი- ინგლისის გემი „შელგრავიან“-ი, მელმაც მოიტანა 27,572 ფუთი დასხვა საქონელი.

აფხაზეთი.

სოხუმის ნავთსადგურში.

ოხუმი. 2 ოქტომბერი. 6 თვის ვლობაში სოხუმის ნავთსადგურ- მოვიდა 280 გემი, რომელთა სა- ო ტვირთმზიდველობა გამოიხა- ა 24.289 ფუთში; გავიდა 282 საერთო ტვირთმზიდველობით 126 ფ. შემოტანილია 230911 ფ. დასხვა ტვირთი, რომელთაგან .000 ფუთი ფქვილია. გატანილია .426 ფ., რომელთაგან 76,000 ბაქოა. აღნიშნულ დროის განმავ- ბაში ნავთსადგურს გაუკეთდა კა- ალური რემონტი; შემოვიდა სხვა- სხვა სანავთსადგურო გადასახადე- გან 36.254 000.000 მან., ნავთ- ურის საჭიროებებისათვის და- ჯულია 23.771.000.000 მან.

აზერბეიჯანი

თეატრი ზაქათალაში.

აქათალა. 1 ოქტომბერი. ზაქათა- ალმასკომი შეუდგა ახალი შე- ის აგებას თეატრისათვის, რო- მაც უნდა დაიტიოს 500 კაცი.

სოფლო-სამეურნეო კურსები

ქო. 1 ოქტომბერი. აზერბეიჯა- სახალხო კომისართა საბჭოსთან ეული სასოფლო-სამეურნეო გა- ლების კომისია იმუშავებს აზერ- ჯანში სასოფლო-სამეურნეო კურ- ს გახსნის პროექტს.

ექტრონის სინათლე სოფლებში.

ქო. 1 ოქტომბერი. ზაქათალის სკომს განზრახული აქვს გაიყვა- მახლობელ სოფლებში ელექტ- ის სინათლე.

სატყეო სკოლა.

ქო. 1 ოქტომბერი. აზერბეიჯა- მიწად მოქმედების სახალხო კო- რიატის კოლეგიამ დაამტკიცა ულება სამწლიანი სატყეო სკო- შესახებ.

დამშეულთა დახმარება.

აქო. 1 ოქტომბერი. ალდაშის მაზ- ში ამ ჟამად ითვლება დაახლოვე- 25000 დამშეული, უმეტესათ ოლტილები ზანგეზურიდან. სიმში- მის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტს არ შეუძლია სავსებით მათი დაკმაყოფილება. ალმასკომმა გაიღო მათ სასარგებლოთ საკუთარი ფონდიდან 1500 ფუთი მარცვლეული.

ნავთი უცხოეთში

ბაქო. 1 ოქტომბერი. „აზნავთმა“ ნება დართო მიეცეს „არკოს“-ს უცხოეთში გასანაღდებლად 45,330 ფუთი ნავთი.

სტ. შაუმიანის სახელობის პარტიული სკოლა.

ბაქო. 1 ოქტ. 27 სექტემბერს გახსნილ იქნა სტეფანე შაუმიანის სახელობის პარტიული სკოლა.

გაზეთებზე ხელისმოწერის კამპანია.

ბაქო. 1 ოქტ. ადგილობრივ გაზეთებზე ხელისმოწერის კამპანია თანდათან ფართოვდება. ბაქოს კვანძის 3,000 რკინისგზელებიდან გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“-ზე ხელი მოაწერა 75 პროც. კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა მისცეს გაზ. „ტრუდს“ 317 ხელისმომწერი. აზიზბეკოვის სახელობის საავადმყოფოს უჯრედმა მთელი შემადგენლობით გამოიწერა გაზ. „ტრუდ“-ი. მას მიჰბაძეს სხვა სამკურნალო დაწესებულებების უჯრედებმა.

სომხეთი

კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის ყრილობა.

ერევანი. 3 ოქტ. 2 ოქტომბერს მოხდა მე-3 სხდომა სომხეთის ახალგაზრდ. კომუნისტთა კავშირის ყრილობისა, რომელზედაც ამხ. ჩაპლინმა და გუშუდიმ მოხსენება გააკეთეს ამიერ-კავკასიის კომ. ახალ. კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ. ცენტრალურ კომიტეტის მოხსენებით, წელს, საორგანიზაციო მუშაობის მეოხებით, კავშირის წევრთა რიცხვი ერთი ორად იქცა შარშანდელთან შედარებით. პოლიტგანათლების მუშაობაც ნაყოფიერად დასრულდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხელფასის მომატების საკითხს ახალგაზრდა მუშებისათვის, აგრეთვე მათი სამუშაოს შეუმცირებლობას. სოფლის ღარიბსა (მასსა) და ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა ღრმავდებოდა, ძლიერდებოდა და საგრძნობელი ნაყოფიც გამოიღო. მოხსენებას აზრთა გაცვლა გამოცვლა მოჰყვა.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტი

0 ენკენისთვეს საღამოს 8 საათ- შესდგა ამიერ-კავკასიის კომ- ვერსიტეტის სტუდენტთა კრება. რების მიზანი იყო გერმანიის სა- მწიფოებრივი მართვა-გამგეობის მუშათა კლასის ეკონომიური და ლიტიკური ძალთა განწყობილების რკვევა.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებას კომ. უნივერსიტეტის ლექტორი ნოვიკოვი. ეხება რა გერმანიის მდგომარეობას, მომხსენებელი ხაზს ამს გერმანიაში ეკონომიური ვრების მოუწესრიგებლობას და ს, რაც იწვევს ბურჟუაზიის პოლიტიკურად გაკოტრებას, შემთანხმებელ პარტიებთან ერთად. ბურჟუაზიამ, რომელსაც ფეხიდან ნიადაგი ეცლება, მუშების ასალაგმავად დაცხადა სამხედრო წესები, ამასთან შეწყვიტა პასიური წინააღმდეგობა და ამით გასცა გერმანია.

აგრეთვე მომხსენებელმა გააშუქა რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის ძირითადი მოვლენები, მისი გამოცდილება, შედარება გაუკეთა გერმანიის არსებულ მდგომარეობას. ანალიზიდან გამოირკვა, რომ გერმანია იმყოფება ოქტომბრის რევოლიუციის ხანის პერიოდში და ახლო მომავალში მოსალოდნელი არის სოციალისტური რევოლიუცია.

მოხსენების შემდეგ კომ-უნივერსიტეტის სტუდენტთა შემადგენლობამ გადასდო გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად 1 პროც. თავისი ჯამაგირის. აგრეთვე იქნა გაგზავნილი მისასალმებელი დეპეშები გერმანიის მუშებისადმი კომ-უნივერსიტეტის სტუდენტთა კრების მიერ.

ქიტაშვილი.

კავშირის ცეკას სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების მუშაობა მე 5 ყრილობიდან 1923 წ. 1 სექტემბრამდე

ერ კიდევ მეხუთე ყრილობამ დაი- აუცილებლად კავშირის პრესი ს სერიოზული ყურადღების მი- და ამ მიზნით დაავალა ცეკას ოდული და არა პერიოდული ტერატურის შექმნა, ვინაიდან მე- ყრილობამდე თითქმის არავითა- ლიტერატურა არ გვქონდა. ყრი- ამ დაადგინა, რომ აუცილებელია ირის მასიური ხასიათის გაზეთი- ა სერიოზულ ჟურნალის გამო- . ამ დადგენილების სისრულეში ანას პირველ თვეებში ხელს უშ- ენ შემდეგი მიზეზები: მატე- ლი კრიზისი, გამომცემლობის იკური აპარატის მოუგვარებლო- ა თვით კავშირის მასის გულ- ლობა ჩვენი პრესისადმი, რაც ხატებოდა, ერთის მხრივ, მასა- , კორესპონდენციების მიუწო- ობაში და, მეორეს მხრივ, ლი- ტურის გავრცელება მოხმარე- ისუსტეში. ამ მიზეზების გამო ლი წლის ნოემბრამდე ბეჭდვის ფილებას არ შეეძლო განევი- ბია თავისი მუშაობა. გამოდიო- რ თვეში ერთხელ გაზეთი რტაკი“ და უშვებდით „ფურ- ზ. „კომუნისტში“ ყოველ ეულად.

ლოდ ნოემბრის შემდეგ მუ- ა იწყებს განვითარებას, მე 5 ე ობის დადგენილების მიხედვით. ოემბრიდან გამოდის ყოველ ი პოლიტიკური, მეცნიერული და ლიტერატურული ჟურნალი „მომავალი“, ყოველ-კვირეული გაზეთი „სპარტაკი“, რომელიც სულ მოკლე ხანში გადაიქცა მასიურ და საყვარელ ორგანოთ მთელი კავშირისა. მან მიიზიდა დიდი რაოდენობა ახალგაზრდა კორესპონდენტების და მით დააინტერესა კავშირი თავისი ორგანოს ბედ-იღბალით. როგორც გაზეთი, ისე ჟურნალიც ძლიერ გაუმჯობესდენ ხარისხის მხრივ და გაიზარდენ ფორმატითა და ტირაჟით, ასე, მაგალითად, ჟურნალი „მომავალი“ ნომერში გამოვიდა ოცდა თორმეტი გვერდით და ათი ნომრის შემდეგ გვერდების რაოდენობა გაიზარდა სამჯერ და მეტი.

ჟურნალი გახდა სერიოზული, ყოველთვიურ სქელ ჟურნალად და მიიპყრო ყურადღება, როგორც კავშირისა, ისე მთელი ახალგაზრდობისა და თითქმის პარტიისაც.

ჟურნალი დაყოფილ იქნა თორმეტ განყოფილებათ, რომლებიც აშუქებენ ყველა საკითხებს, რომლებიც აინტერესებენ კავშირის წევრებს

გაზეთმა დაიწყო გაშუქება ჩვენი უჯრედების ცხოვრებისა, ცალკე ორგანიზაციებისა და მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ცხოვრებისა. მეტად აქტიური მონაწილეობა მიიღო კავშირის პრესამ ანტი-რელიგიურ პროპაგანდაში და სხვა საკავშირო და საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის საკითხებში.

X

ავკ. საქონლის-საფონდო ბირჟების წარმომადგენელთა კონფერენცია

(სხდომა მეოთხე)

საკითხი კომერციულ განათლების გავრცელების შესახებ.

საკითხზე მოხსენებას აკეთებს ფარიანი, რომელიც ვრცლად საკითხს და ჩერდება ბირჟის ებაზე, რომელიც სცილდება პირდაპირი ფუნქციათა საზღ- მის მოქმედებას ის ჰყოფს სამ ად: საზოგადოებრივ ფუნქციე- ასრულება, კულტურ-საგანმანა- ლო და ლიტერატურული მუ-

ა რა საზოგადოებრივ ხასია- ფუნქციებს, მომხსენებელი ღლ- ს ბირჟის როლს, რომელიც საშუალო სახელმწიფო ვაჭრო- წეველობასა და კერძო ვაჭრო- წეველობას შორის.

ი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ფართო ასპარეზი ეძლევა კერძო ვაჭრობას და კერძო ინიციატივას. საჭიროა მხოლოდ, რათა ეს კერძო ინიციატივა ჩამოყალიბდეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის მისაღებ ფორმებში. ამ სფეროში ბირჟამ დიდი როლი უნდა ითამაშოს. მან უნდა გაერთიანოს კერძო ინიციატივა, წააქეზოს მისი სასარგებლო მოქმედება. ეს შესაძლებელია სავაჭრო პალატების დაარსების შემდეგ, რომელნიც უნდა იყონ ჩაყენებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კალაპოტში. შემდეგ ბირჟამ უნდა მოახდინოს ფილტრაცია ვაჭრობა-მრეწველობის იმ ნაწილის, რომელიც ყოველთვის და მუდმივად არ იქნება დაკავშირებული ბირჟასთან, მაგრამ რომელთა მოქმედებაც ყოველთვის გავლენას ახდენს ბირჟის მუშაობაზე. მან უნდა წააქეზოს იმ პირთა და სავაჭრო წარმოებათა ინიციატივა, რომელნიც არიან ერთგვარი ფაქტორი ჩვენი ვაჭრობის ასაღორძინებლად.

ამასთანავე ბირჟამ გაბედული ბრძოლა უნდა აწარმოოს ძველი რეჟიმის ამა თუ იმ ცუდ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ, რასაც სახელად ეწოდება „ბოროტი სპეკულიაცია“ ბოლოს არის კიდევ სახელმწიფოს ცხოვრების ბევრი მხარეები, რომელნიც მჭიდროთაა დაკავშირებული კერძო პირთა ინტერესებთან, მაგ. საგადასახადო პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკა და სხვ. ბირჟამ ყური უნდა უგდოს ადგილობრივ მცხოვრებთა ხმას და როდესაც ის დარწმუნდება იმაში, რომ დაბეგვრის ამა თუ იმ ფორმას ზიანი მოაქვს და კერძო პირთა ჩივილს აქვს ეკონომიური ან იურიდიული საფუძველი, ბირჟამ უნდა აღძრას შუამდგომლობა ხელისუფლების სათანადო ორგანოების წინაშე.

ეხება რა ბირჟის მეორე ფუნქციას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. მომხსენებელი მოკლეთ აშუქებს მოქმედების ამ ხარისხს და აღნიშნავს, რომ საჭიროა სკოლის გარეშე განათლების გავრცელება სპეციალურ კურსების გახსნის საშუალებით. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა შეიძლება გაძლიერდეს კიდევ სპეციალურ წიგნების და ბროშურების გამოცემით, რომელნიც განმარტავენ ბირჟის მნიშვნელობას და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიერ წამოყენებულ ახალ ამოცანებს. ბირჟის მესამე ფუნქციის განსახორციელებლად—ე. ი. ლიტერატურული მუშაობის—საჭიროთ უნდა იქნას აღიარებული ბირჟის ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა, რომელშიაც უნდა გამოიხატოს ბირჟის მთელი მოღვაწეობა და მასთან დაკავშირებული ეკონომიური ცხოვრების ყველა მოვლენები.

ამ თავითვე საჭიროა გამოიცეს ბირჟის გაზეთი ტფილისში და შემდეგ შესძლებისდაგვარად ბაქოში.

ამხ. პარუნ ხარქასოვი კომერციულ განათლების საკითხში მიუთითებს ინგლისის და გერმანიის მაგალითებზე, რომელთაც შეიმუშავეს ვაჭრობის ორგანიზაციების განსაკუთრებული სისტემა თავისი ტრადიციებით და რომელთაც პირველი ადგილი დაიჭირეს მსოფლიო ბაზარზე. ეს აიხსნება ვაჭრობის თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაციით. სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა იყო რუსეთში. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში კომერციულ განათლებას მიქცეული ჰქონდა ყურადღება. შემდეგ, რევოლიუციის პროცესში სამეურნეო-ეკონომიურმა განვითარებამ გვაიძულა შევდგომოდით ვაჭრობის ორგანიზაციას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთ სამუშაოსათვის საჭირო ტეხნიკური თანამშრომელთა რიცხვი ძალიან ცოტა იყო, ეხლა საჭიროა ასეთ მუშაკთა დიდი არმია. ამისათვის საჭიროა დაარსდეს კომერციულ განათლებისათვის დახმარების კომიტეტი, ცენტრო კავშირის, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სასურსათო სახ. კომისარიატის, ფინანსთა სახ. კომისარიატის, ცეკას და ყველა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლების შემადგენლობით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშუალო სასწავლებლებს (სამრეწვ.—ეკონომიური ტეხნიკუმებს).

მომხსენებელი შემდეგ ადგენს ასეთ ტეხნიკუმების მოწყობის და მათში სპეციალურ საგნების სწავლების გეგმას.

ამხ. ჩხენკელი ფიქრობს, რომ წინა ორგანოების საკითხს ძალიან ფართოთ შეეხნენ. განათლების საკითხი უფრო ვიწრო ჩარჩოებში უნდა იქნეს ჩაყენებული. თუ ჩვენ მოვამზადებთ ტეხნიკურ თანამშრომლებს (ბუღალტერებს, სტატისტიკოსებს და სხვა) 6—8 წლის განმავლობაში, ეს ძალიან გვიან იქნება, ამიტომ კომერციული კურსები უნდა იყოს მხოლოდ ორწლიანები. მხოლოდ პირველ წელიწადში უნდა იქნას გავლილი თეორიული კურსი, ხოლო მეორე წელიწადში კი უნდა სწარმოებდეს პრაქტიკული მეცადინეობა.

ამხ. ჩხენკელს შემოაქვს შემდეგი წინადადება: მოეწყოს სპეციალური კომერციული კურსები, რომელნიც გაადვილებენ კომერციულ განათლების გავრცელებას იმ ელემენტებს შორის, რომელნიც დაინტერესებული არიან ამით. ამ კომერციულ კურსებისათვის პროგრამების გამომუშავება და ამ კურსებში სხვადასხვა ბირჟების მონაწილეობის საკითხის გადაჭრა მიენდოს ამიერ კავკასიის ბირჟების ბიუროს.

ამხ. ჩხენკელის წინადადება მიღებულ იქნა ამხ. საფაროვის დამატებით, ბირჟის ძალ ღონით და დაინტერესებულ ორგანოების დახმარებით თუნდაც ერთი საბირჟო გაზეთის გამოცემის შესახებ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(3 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	54,800
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	5,100
ჩეკები —	48,700
დოლარები ეფექტ —	11,200
„ ჩეკები	10,400
ოსმ. ქაღ. ლირა	6.300
იტალიური ლირა	335
ფრანგული ფრანკი	495
საბჭ. ფულის ნიშნები	13 ნახ.

ოფიციალური გარიგებანი

(3 ოქტომბ.)

ფიჭვის მასალა 75 კაპ. (ჩერვ.) კვადრ. ვერშოკი, ფრანკო ბორჯომი. შაქარი რაფინადი 17 მან. ფუთში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბირჟის განწყობილება

(3 ოქტომბერი).

ტფილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 3 ოქტომბერს ხორბლის და პურეულის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა, ფართლეულობის და შაქრის ბაზარზე—სუსტი დანარჩენ ბაზრებს ცვლილება არ ეტყობა.

ვალიუტის ბირჟის განწყობილება.

(3 ოქტ.)

დღეს როგორც ჩერვონცებზე, ისე უცხო ვალიუტაზე მოთხოვნილება გაცხოველებულია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

2 ოქტომბერს დადებულია 4 გარიგება, სულ 8883,80 მან, ჩერ. თანხისა.

ბირჟის მიწოდება.

(3 ოქტომბ.)

ლურსმნები, ფხვნილი შაქარი ყვითელი, ჩაი, აბრეშუმი, ტყის მასალა, სალამასი, იტალიური მანუფაქტურა, მაკარონი, მარსელის საპონი, საწერი ქაღალდი და კარტონი, სკიპიდარი ფრანგული, გოგირდი, ტომრები, მატყლი, რუს. ქალ. მანუფაქტურა, აგური, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., საპონი 1 ხარ. და ტუალეტის, ზეთი, ცემენტი და ეტერნიტი, ბორჯომის კანიფოლი, ყუბანის ფქვილი 1. ხარ.

ბირჟის მოთხოვნილება.

(3 ოქტომბერი)

აბრეშუმი დაურთავი, ახალი ტომრები, ელექტრონის ლამპიონები, შეშა, ასანთი რუს. რკინეულობა, ჩაი, ტყავი (ნედლი), ქვამარილი ნახიჩევანის და ბახმუტის, მატყლი, სიმინდი და სიმინდის ფქვილი.

მუშკოპის ფასები.

(3 ოქტ.)

პური 1 ხარ.—320 ათ., პური 2 ხარ.—220, ძროხის ხორცი—1 მილ., ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფინადი—2,700, ფხვნილი შაქარი—2,230, მაკარონი—850, ბრინჯი ალდაშის—585, კართოფილი—110.

ტფილისის ბაზრის ფასები

(3 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—350—400 ათ., პური 2 ხარ.—250, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფ.—2650—2750 ათ., ფხვნილი შაქარი—2300, მაკარონი—850, ბრინჯი ალდაშ.—600, კართოფილი—125 -150.

საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

ბადიაურის წისქვილი.

ვინაიდან ბადიაურის წისქვილს რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საუკეთესო ხარისხის დამმუშავებელ ერთადერთ წისქვილს და მასთან არხის გაყვანა ადგილობრივ გლეხობას მისცემს მიწის მორწყვის საშუალებას, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია შეუდგეს ბადიაურის წისქვილის შეკეთებას და ამ მიზნისათვის გადადებულ იქნას ათასი ჩერვონეცი იმ პირობით, რომ ადგილობრივი გლეხობა აღმოუჩენს პრეზიდიუმს დახმარებას უფასო მუშაობით არხის გაწმენდაში, რისთვისაც სამაგიეროდ მათ მიეცემათ უფლება უფასოდ ისარგებლონ წყლით ყანების მოსარწყავად. მუშაობა დაიწყება ახლო მომავალში.

„აზნავთ“-თან ხელშეკრულება.

მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა „აზნავთ“-თან ხელშეკრულების დადება მიენდოს ამხ. ავაქოვს და ბორკონს, რომელთაც დაევალოს ხელშეკრულების დასადებად ბაქოში გამგზავრება.

პურის სპირტზე აქციზის შესახებ.

ვინაიდან დასავლეთ საქართველოს გლეხკაცობას შერჩა გაფუჭებული ძველი 1922 წლის მოსავლის სიმინდი, ს. მ. უ. ს. დაადგინა: გასაადვილებლად დახმარების მიზნით საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს საშუალებით საჩქაროთ აღიძრას შუამდგომლობა ამიერ კავკ. საბჭოს წინაშე, შარშანდელ უვარგის სიმინდისაგან გამოხდილ პურის სპირტზე აქციზის დაწევის შესახებ.

რა დავაშავეთ!

მასწავლებლობა უკანასკნელ რიგში იდგა ყოველთვის. ძველი რეჟიმი, რომელიც ალმაცერათ უყურებდა სახ. მასწავლებლობას და ამდენადვე უწევდა ანგარიშს მის ეკონომიურ მდგომარეობას, არც რევოლიუციამ მიანიჭა მასწავლებლობას შეღავათი, პირიქით—ეკონომიურათ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ამ მდგომარეობის გამოსწორებას; ზომებსაც ღებულობს... ალბად მიზანსაც მიაღწევს... ჩვენ ამის იმედი გვაქვს.. თუმცა ჯერ-ჯერობით თვის 20 ს, რომ კურსს გამოიმუშავებენ, ჯამაგირს 15—20 დღის შემდეგ იძლევიან, როცა ეს კურსი უკვე საკმაოთ დაცემულია; ეკითხები ბუღალტერიას (გან. გან.) ის, რომ თავიდან მოგიშოროს გან. განყოფილებაზე გითითებს, გან. განყოფილება ბუღალტერიაზე და თუ ორთავე ერთად ნახე განათლების კომისარიატისაკენ გაგისტუმრებენ და ასე მშიერი კუჭი უნდა ატაროს მას. წ. კარიდან კარამდე! მაგ. გამოაცხადეს, რომ სექტემბრის ჯამაგირებს ადრე მისცემენ და მართლაც არაჩვეულებრივად 27 სექტემბერს დაარიგეს ფული; მხოლოდ რამოდენიმე სკოლა დასტოვეს. (მათ შორის ნაძალადევის მე-24-ე შრ. სკოლა), რომელიც ყველაზე უფრო შორსაა და მასწავლებლების ნახევარი ჯამაგირი ტრამვაის უნდება. დიდი ძიების შემდეგ გავიგეთ, რომ განათლების კომისარიატს ფული არ მიუცია. კარგი, ვსთქვათ, რომ გან. კომისარიატმა არ მისცა გან. განყოფილებას ფული, რაც მისცა ის მაინც განაწილებია კანონიერათ. 27—მერე ფულის კურსი საკმაოდ დაეცა. ჯამაგირს კი არაფერს უმატებენ. ნუთუ ერთ ნაწილს სკოლებისას უნდა გადახდეს ეს უბედურება? ნუ თუ გან. განყ. ეს აღარ შეეძლო მაინც, თუ სხვა გამოსავალი აღარ იყო, რომ ეს ზარალი ყველა გაეყო სკოლებზე, რომლებიც, რასაკვირველია, უფრო მსუბუქად აიტანდენ ერთად ამ ტვირთს, ვიდრე რამოდენიმე სკოლა, რომელიც უმიზეზოდ დაისაჯენ. საჭიროა ასეთ შემთხვევებს ყურადღება მიექცეს...

ე. გო-ხუჯიში.

პროფკავშირებში

აფხაზეთის პროფკავშირებში.

აფხაზეთის პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ დაასრულა ადგილკომების და ფაბკომების შემადგენლობის განახლება, რომელსაც პროფმუშაობის გაცხოველება მოჰყვა.

სოფლის მეურნეების კავშირში.

მიწა-ტყის კავშირის აფხაზეთის განყოფილება წარმატებით განაგრძობს სოფლის მეურნეების კავშირების მუშაობაში ჩაბმას. უკანასკნელ ხანებში კავშირში ჩაწერილია 400 მეტი სოფლის მეურნე.

ლიგა „დრო“.

აფხაზეთის პროფსაბჭოს თაოსნობით დაარსდა ლიგა „დრო“-ს დროებითი ბიურო. ბიურო ეწევა კამპანიას კავშირის წევრთა ლიგაში ჩასაწერად.

სესხი მუშებისათვის.

აფხაზეთის პროფკავშირების უკანასკნელი თათბირი მთლიანად მუშებისათვის სესხის მიცემის საკითხს შეეხებოდა.

პროფორგანიზაციები აწარმოებენ მოლაპარაკებას სათანადო ორგანიზაციებთან მუშებისათვის სესხის საჩქაროთ გაღების შესახებ.

მოლაპარაკება მალე დამთავრდება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მუშათა საგრძნობი ნაწილის სესხით დაკმაყოფილება ადგილობრივი საშუალებით.

ავტო-კლუბი.

ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის სამდივნომ გადასწყვიტა გახსნას ავტო კლუბი, კავშირის წევრებისათვის კლუბი პირველად მოსკოვში დაარსდა. ახლად გასახსნელ კლუბის წესდებად მიღებულია მოსკოვის კლუბის წესდება.

კლუბის ორგანიზაცია და შემდეგი მუშაობა იწარმოებს კავშირის კულტ-განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობით.

სამთო-მადნო მუშაკთა კავშირში.

უმუშევართა ფონდის შექმნა.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ცირკულიარით მიმართა ჭიათურის, ტყიბულის და ძირულის რაიონებს. ბათომის სამთო კავშირს უმუშევართა ფონდის შექმნის და გაძლიერების შესახებ.

ურთიერთ დახმარების კასის დაარსება.

ჭიათურის შავი ქვის მტვირთავ მუშათა საერთო კრებამ გადასწყვიტა დაარსოს ურთიერთ დამხარე კასა, რისთვისაც აირჩია შვიდი კაცისაგან შემდგარი გამგეობა.

საქ. პროფ. კავ. საბჭოს სატარიფო ეკონომიურ განყოფილებაში

შესდგა სხდომა უმუშევართა, შრომის და ომის ინვალიდების და სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფ პირთა წყლის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. სხდომას დაესწრენ ქალაქის ალმასკომის, სოც. უზრუნველყოფის, შრომის სახ. კომის. წარმომადგენელნი. წყალსადენის გამგეგმ ინჟ. დიასამიძემ გააცნო კრებას ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმად ზემოჩამოთვლილ ჯგუფებს ქალაქი უფასოთ დაუთმობს ყოველ-დღიურად 24,000 ვედრო წყალს (სულზე 1 ვედროს)

მეცნიერება და ტეხნიკა

რამდენი კაცის გამოკვება შეუძლია დედა მიწას.

მთელ დედა-მიწას უჭირავს 510 მილიონი კვადრატული კილომეტრი (კვ. კილომეტრი უდრის 1.000.000 კვ. მეტრს, კვადრატიული მეტრი უდრის 618 და სამ მეოთხედ კვ. ვერშოკს), აქედან ხმელეთს უჭირავს 130,8 მილიონი კვ. კილომეტრი, ამ სივრციდან მხოლოდ 55,9 მილიონი ანუ 43 პრ. არის გამოსადეგი მეურნეობისათვის. ამ მოედანის ნახევარი უჭირავს ტყეებს, ბალახს სხვა საჭირო ტეხნიკურ მცენარეულობას, ისე, რომ ადამიანიანის გამოსაკვებათ რჩება მხოლოდ 9 0 მილიონი დესეტინა მიწა (2.800 მილიონი ჰექტარი), დაახლოვებით, რომ თითეულ სულის გამოსაკვებათ ვიანგარიშოთ 1,2 ჰექტარი,*) მაშინ დედამიწას შეუძლია გამოკვებოს 2.333 მილიონი სული. ამჟამად დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 1 700 მილიონ სულს, თუ მთელ დედამიწაზე სოფლის მეურნეობა იმდენათ განვითარდა, რომ მიაღწია დასავლეთ-ევროპის დონეს, მაშინ დედამიწას შეუძლია გამოკვებოს 5.000.000,000 სული. ეს ციფრი შეიძლება გადიდდეს 25—28 მილიარდამდე, თუ მთელი კაცობრიობა გადაიქცევა ვეგეტერიანელებად ისე, როგორც იაპონიაში, სადაც ჰექტარი სათესი მიწა კვებავს 10 სულს.

თავის თავად ცხადია, რომ ამ ციფრების გამოანგარიშების დროს მხედველობაშია მიღებული, რომ ადამიანისთვის საჭირო საკვები სამართლიანად, თანასწორად ნაწილდება, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ წყობილებაში.

ჯერ-ჯერობით კი, როცა დედამიწას შეუძლია მცხოვრებთა ორჯერ მეტი რაოდენობა გამოკვებოს, ბევრი ესალმება წუთისოფელს სიმშილის გამო.

---

*) ჰექტარი უდრის 0,915 დესეტინას.

ქრონიკა

— **პროვინციის განათლების განყოფილებათა სარევიზიოთ საინსტრუქტორო** განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა მის განკარგულებაში გადადებული იქნეს სპეციალური ფონდი პროვინციის განათლების განყოფილებათა სარევიზიო ხარჯების დასაფარავათ.

— **საექიმო დახმარება.** შრ. სახ. კომისარიატმა დაამტკიცა სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ შემუშავებული ახალი დადგენილება დაზღვევ კასის წევრთა საექიმო დახმარების შესახებ.

— **ელექტრო მანქანა.** ტფ. ალმასკომმა დაადგინა ქალაქის საჭიროებისათვის შეიძინოს აქციონერულ საზოგადოება „ატლას-დაზელი“-საგან ელექტრონის მანქანა.

— **კომპენსაციის დაწესება მშრომელთა კუთვნილ იარაღებზე.** შრომ. კომისარიატმა დააწესა კომპენსაცია იმ იარაღებზე, რომლებიც ეკუთვნიან მშრომელთ და რომლითაც სარგებლობენ ესა თუ ის წარმოება-დაწესებულებები.

— **ცხრაწლიანი სკოლები რესპუბლიკაში.** განათლების კომისარიატმა სკოლის რეფორმის შემდეგ შეიმუშავა მაზრობრივ ცხრაწლიანი სკოლების (რომელიც უდრის ყოფ. რეალურ სასწავლებელს), შემდეგი ცხრილი: ტფილისში—23, (მათ შორის 8 საცდელ საჩვენებელი). ტფ მაზრაში—1. ოზურგეთის მაზრაში—3, სენაკის—3, ზუგდიდის—2, ფოთის—1, ქუთაისის—6, შორაპნის—2, გორის—3. თელავის, სიღნაღის და ახალციხის—ორ-ორი, ხონის, სამტრედიის, ჯიხაიშის, კულაშის, რაჭის, ლეჩხუმის, დუშეთის და ბორჩალოს მაზრებში თითო-თითო.

— **ცხენთა ჯიშის გასაუმჯობესებლათ.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატთან არსებული ცხენთა საჯიშოების სამმართველომ დაადგინა ცხენთა საუკეთესო ჯიშის მოსაშენებლათ მუხროვანში მოაწყოს ცხენთა ჯიშის გასამრავლებელი პუნქტი.

— **სოციალურ დაზღვევის ორგანოთა ყრილობა.** ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში მოხდება სოც. დაზღვევის ორგანოთა წარმომადგენლების ყრილობა რესპუბლიკის მასშტაბით.

— **დახმარება გერმანიის მუშებს.** საფეიქრო სინდიკატმა მოაწყო სალამო, რომლის სრული შემოსავალი გადაიდო გერმანიის მუშების სასარგებლოდ.

— **მასწავლებელთა, მოწაფეთა და სკოლების რიცხვი.** განათლების კომისარიატის სტატისტიკურ ქვე-განყოფილების ცნობით, საქართველოში ამ ჟამადირიცხება ყველა ტიპის სკოლები სულ 1,688 მასწავლებლები—8022, მოწაფეები—195,709.

— **სკოლები მშრომელთა ბავშვებისათვის.** მედიკო-სანიტარულ კავშირის ადგილკომების პასუხისმგებელ მდივნების თათბირმა დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები, რათა კავშირის წევრის არც ერთი შვილი არ დარჩეს სკოლის გარეშე.

— **ტფილისის განათლების მუშაკთა სახლი** განათლების მუშაკთა კავშირმა დაადგინა მოახდინოს რეორგანიზაცია „ტფ. განათლების მუშაკთა სახლის“ და ამ წოდების ნაცვლად აღნიშნულ სახლს დაერქვეს: „სრ. საქ განათლების მუშაკთა სახლი“.

— **უმუშევარი ქალები მაღაროებში.** ვინაიდან უმუშევარ ქალების რიცხვი საგრძნობლათ იზრდება, ჭიათურის პროფბიურომ დაადგინა გაგზავნილ იქნეს მაღაროებში უმუშევარი ქალები მსუბუქ სამუშაოებზე.

— **განათლების საქმე შორაპნის მაზრაში.** შორაპნის მაზრაში პარტიულ კომიტეტის პლენუმზე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით მოსმენილ იქნა ადგილობრივ განათლების გამგის მოხსენება, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

— **მასწავლებელთა საზაფხულო გადასამზადებელი კურსები.** განათლების კომისარიატის მიერ რესპუბლიკის 17 მაზრაში მოეწყო მასწავლებელთა საზაფხულო 2 თვენახევრიანი გადასამზადებელი კურსები, რომელიც დაამთავრა 200 მეტმა მასწავლებელმა.

— **წაღვერის დასასვენებელ სახლში.** წელს წაღვერის დასასვენებელ სახლი დაისვენა სულ 600-ზე მეტმა მუშა-მოსამსახურეებმა. აღნიშნული სახლი ფრიად დამაკმაყოფილებელი იყო ყოველმხრივ.

— **ცეცხლის გაჩენა.** 3 ოქტომბერს სერგის ქუჩაზე სატყეო ტრესტის საწყობს გაუჩნდა ცეცხლი. მოსამსახურეთა ენერგიული ზომებს მიღებით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა, ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსვლამდე.

— **მარცხი მატარებელზე.** 2 ოქტომბერს ბათომის მატარებელზე ხაშურიდან ორამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ უბედურებას—გაქანებულ მატარებელზე შეხტომის დროს უცნობ მოქალაქეს ფეხები გადასჭრა, ხოლო მეორე მსუბუქად დაშავდა.

— **შრომის ბირჟა.** აღრიცხვაზე გამოცხადდა 483, ახლად ჩაწერა—149, სამუშაოზე გაიგზავნა—64.

„ახალგაზრდა მარქსისტები“ დღეს

„ახალგაზრდა მარქს [illegible] ცხადებანი

ამხანაგო რედაქტორო, გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს ჩვენს განცხადებას.

ჩვენ, ამაზე ხელის მომწერნი, სოფელ ძეგვის ახალგაზრდა მარქსისტები, გაუკეთეთ რა ანალიზი ჩვენს წარსულს მუშაობას და დავრწმუნდით რა მის შეუსაბამობაში, სრულის შეგნებით ვტოვებთ ამ ორგანიზაციას და ვიზიარებთ სრულიად საქართველოს ყოფილ სოციალ-დემოკრატიულ ყრილობის დადგენილებას.

ირემაშვილი ვასო, ირემაშვილი შაქრო, ამანათიძე ვასო, ჭედლიძე ნიკოლოზ, ვაზინაშვილი იოსებ, კვახიძე ვლადიმერ, მაჩულაშვილი სტეფანე, როსტიაშვილი ვასო, იაშვილი შალიკო, როსტიაშვილი შალიკო, ფირანაშვილი ლექსო, როსტიაშვილი ლადო, მამისაშვილი პავლე, ფირანაშვილი არშაკ, ფირანაშვილი ვასო, სილოლაშვილი შაქრო, მარქარაშვილი გრიგოლი, მჭედლიძე ივანე, მირეშაშვილი სარქის, სურამელაშვილი მათე, მჭედლიძე ალექსი, იაშვილი მიხეილ, იაშვილი თამარა, ბებურიშვილი სონია.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოგვითავსოთ შემდეგი:

ჩვენ, ამაზე ხელის მომწერნი, გორის მაზრის გომის რაიონის ახალგაზრდა მარქსისტები, სრულის შეგნებით ვტოვებთ ახალგაზრდა მარქსისტთა რიგებს და ვიზიარებთ იმ გზას, რომელსაც დაადგნენ ტფილისის და გურიის ახალგაზრდა მარქსისტები.

გაუმარჯოს კომკავშირს!

გაუმარჯოს მე 3 კომინტერნს!

გ. ხვისაფრიშვილი, კაკო კაპანაძე, კოტე ხერხეულიძე, ალექსი როსტომაშვილი, დ. გელაშვილი, გოგი გელაშვილი, დათიკო ქაცარავა, ალექსანდრე თაბუკაშვილი, გიორგი ზუბაძე, კ. ბარამიძე, ნ. ფატარიძე, გ. ქიტიაშვილი, თ. თვარელიძე, ისაკ ფხაკაძე, ლადო კაპანაძე, არჩილ ჩანაძე, ლ. ქოქოშვილი, ვ. სალარიძე, დათა სალარიძე, სიმონ სალარიძე, ვასილი ჩუტკერაშვილი, ალექსი ჩუტკერაშვილი, ვასო გოლიკაშვილი, სტეფანე მიქელაშვილი, ბესარიონ მიქელაშვილი, ალექსანდრე მიქელაშვილი, ზაქრო ბერაძე, ივანე ბერაძე, მიხეილ ხარიძე, გრიგოლ ჩუტკერაშვილი, დიმიტრი ჩუტკერაშვილი.

პროვინციაში

მარტყოფის რაიონულ ბიუროს მუშაობა ქალებს შორის

ა. წ. 30 სექტემბერს, მარტყოფში მოწვეულ იქნა დელეგატ ქალების სარაიონო კრება.

კრებას დაესწრო მარტყოფის რაიონის 5 სოფლიდან 15 დელეგატი.

დელეგატ ქალებს გარდა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დიასახლისებმა—კომუნისტების ოჯახის წევრებმა 25 კაცის რაოდენობით და დაახლოვებით 150 გლეხმა.

დღის წესრიგში იყო 5 საკითხი:

1. ქალთა განყოფილების მიზანი და ამოცანები და დელეგატ ქალების მნიშვნელობა.
2. შრომის სკოლა და გლეხთა ბავშვები.
3. საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა გლეხთათვის.
4. სოფ. დიდი ლილოს კრუჟევოს საქსოვი სკოლის, საფეიქრო და ხალიჩების დასამზადებელ სარეწაოს მნიშვნელობა.
5. კოოპერაციის როლი ღარიბ გლეხებისათვის.

კრების დამთავრების შემდეგ, დელეგატები და სტუმრები, როგორც ქალები, ისე მამაკაცები, მიწვეულ იქნენ სადილზე, რომელიც გამართული იყო იქვე თეატრის მახლობლათ, ცის ქვეშ.

საღამოს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრის მიერ დადგმულ იქნა ცაგარელის პიესა „ციმბირელი“.

კრებას დაესწრენ აგრეთვე ადგილობრივი ინტელიგენტი ქალები, რომლებიც თანდათან ებმებიან აქტიურ მუშაობაში მარტყოფის ქალთა შორის.

რაიონულ სადელეგატო კრების ჩასატარებლათ მივლინებულ იქნა ამხანაგი ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებიდან.

ს. თ.

ასურეთ-ალბულაღის თემის უპარტიო გლეხთა კონფერენცია

კვირას, 30 სექტემბერს სოფ. ასურეთში შესდგა ასურეთ-ალბულაღის თემის უპარტიო გლეხთა კონფერენცია.

კონფერენცია იყო მოწვეული ფინანსთა სახალხო კომისარიატის და ტფილისის სასაკლაოს საშეფო კომისიის ინიციატორობით. კონფერენციის მიერ იქნა არჩეული პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ ამხ. ამხ. ელისაბედაშვილი (თავმჯდომარე), გველესიანი (მდივანი), ხოჯაევი, ქართველიშვილი, ტოროშელიძე, ვანო ტახილაშვილი და ვანო ბეგიაშვილი. საპატიო თავმჯდომარეებად: ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, რადეკი, მახარაძე და ცხაკაია. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. საერთაშორისო მდგომარეობა ს. ს. რ. კ.—მომხსენებელი ამხ. ტალახაძე, 2. მიწის რეფორმა—ამხ. ქვენია, 3. სახელმწიფო დაზღვევა—ამხ. მესხი, 4. მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი—ამხ. ელისაბედაშვილი, 5. ურთიერთ-დამხმარე კომიტეტები—ამხ. ვანცელაძე, 6. პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა—ამხ. გველესიანი. კონფერენციას დაესწრენ, გარდა დელეგატების'ა, აგრეთვე ბევრი უპარტიო გლეხებიც.

კონფერენციის გახსნის წინ ამხ. ელისაბედაშვილმა მოკლეთ გააცნო დელეგატები კონფერენციის მნიშვნელობას. შემდეგ ფეხზე ადგომით პატივი სცეს რევოლიუციისთვის დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას და ბაქოს 26 კომუნარებს. შემდეგ პრეზიდიუმის სახელით იქნა გაგზავნილი მისალმებითი დეპეშა ტფილისის და ცენტრალურ კომიტეტების სახელზე შემდეგი შინაარსისა: „ჩვენ, ასურეთ-ალბულაღის თემის უპარტიო გლეხთა კონფერენციის დელეგატები გიძღვნით სალამს ჩვენს სასიქადულო მეთაურთ. დღეს, როდესაც სამყაროს რევოლიუციის ალი მოედო და ჩვენი ხელისუფლება ხელ-ახლად სდგება ახალ-ახალ მძიმე საკითხების წინ, ჩვენ ამოგიდგებით გვერდში და თქვენთან ერთად გავამაგრებთ იმ ფრონტს, რომელიც მიიწევს იმპერიალიზმის შესამუსრათ და ქვეყნათ კომუნისტურ წესწყობილების დასამყარებლად. ქალაქის და სოფლის მუშათა კავშირი და თქვენი ხელმძღვანელობა თავდებია ახალ ახალ გამარჯვების. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! გაუმარჯოს ამ რევოლიუციის ხელმძღვანელს—მესამე ინტერნაციონალს! გაუმარჯოს კომუნიზმს!“

ყველა საკითხებზე იქნა მიღებული შესაფერისი რეზოლიუციები. დელეგატები ძალიანი იყვნენ დაინტერესებულნი მოხსენებებით და მომხსენებელთ აძლევდენ მრავალს შეკითხვებს, რომლებზედაც მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

კონფერენცია დაიწყო დილის 10 ნახ. საათზე და გათავდა საღამოს 5 საათზე, რის შემდეგ დელეგატებმა და გლეხობამ მიიღეს სათანადო ლიტერატურა და დაიშალნენ.

გველესიანი

საყულია-მუხიანის თემი (ქუთაისის მაზრა)

რამოდენიმე თვის წინათ ეს ორი თემი გააერთიანეს, რასაც დიდი უხერხულება სდევს; თან სიშორე, უგზოობა და მუხიანში ხეირიანი ბინის უქონლობა სამმართველოსთვის. როგორც ირკვევა, ეს გაერთიანება რამდენიმე პირის საქმეა, საყულიას მცხოვრებთა მოთხოვნილებას კი ანგარიში არ გაუწიეს; ამით დიდ გაჭირებაში ჩააგდეს ისინი. საყულიას თემში საერთოდ კულტურული მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს. არსებულ სკოლებში სწავლა თუმცა მიმდინარეობს ნორმალურად, მარა მასწავლებლების ცოდნის დონე ძალიან დაბალია, რამდენიმე პირის გარდა, ორივე სოფელში: საყულიასა და ოფშკვითში სულ უცენზო პირები; გადასამზადებელ კურსებზეც არ მიდიან, რომ პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილება შეიძინონ. უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ უვიცნი სხვას ვერაფერს ვერ ასწავლიან და, საკვირველია, ინსტრუქტორი რათ არ აქცევს ამას ყურადღებას. ამას გარდა საყულია დიდი სოფელია, გაჭიმულია ექვს ვერსზე, შკოლა შუა ალაგზეა და წვიმების დროს ტალახისა და წყლის გამო ბავშვები განაპირა სოფლიდან ვერ დადიან სკოლაში. საჭიროა ზედა უბანში სკოლის გახსნა, თუ გვინდა ცოდნას მოწყურებული ბავშვები დავაკმაყოფილოთ. სამკითხველოები, კოოპერატივები ხომ ორივე თემში ძალზე მოიკოჭლებენ. კულტურულ მუშაობას მასწავლებლები ყველგან გაურბიან, ალბათ ზემოხსენებული მიზეზების გამო. საჭიროა ამ თემებში კულტურულ მუშაობას სათანადო ყურადღება მიაქციოს მაზრის განათლების განყოფილებამ.

„შემილ“.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს შეამცირონ ხოლმე 10 პროცენტზე არა უმეტესი რაოდენობით საერთო თანხა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა ღარიბეს გლეხთა მოსახლეობის გასანთავისუფლებლად ამა გადასახადისაგან, იმ პირობით კი, რომ, გარდა ამ ათ პროცენტიანი შეღავათისა, დანარჩენი გადასახადის ასი პროცენტი აუცილებლად გადახდევინებულ იქნეს.

2. აქამომდე საკანონმდებლო წესით მოხდენილი მოსავლიანობის შემცირება გავრცელებულ იქნეს, უმთავრესად, ღარიბეს გლეხთა მოსახლეობაზე.

3. შემდეგისათვის მოსავლიანობის შემცირება აწ უკვე შეუძლებლად იქნეს მიჩნეული.

4. იმ შემთხვევაში, უკეთუ რაიმე სტიქიური უბედურება მოხდება, საჭიროა თვითეული ასეთი შემთხვევა ცალკე იქნეს განხილული საგადასახადო შეღავათის მინიჭებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ
გ. სტურუა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ბ. თადიბლი.

მუშათა ცხოვრება

ორიოდე სიტყვა ჩვენი პრესის შესახებ.

ამ დღეებში ჩვენი პრესის გარშემო წარმოებული კამათი—მისი ღირსება-ნაკლულოვანების და დანიშნულების შესახებ დიდ მნიშვნელოვანია ყველა იმათთვის, ვისაც პრესაში თანამშრომლობით აქვს დასახული ჩვენი ქვეყნის წინსვლა-წარმატების ნამდვილი სურათის გადმოცემა. უნდა ვსთქვა, რამდენიმე ავტორების მიერ ამ თემაზე ბევრი არასფერი ახალი არ თქმულა. პრესის დანიშნულების შესახებ მათ თქვეს ის, რასაც უკვე ასრულებს და პირდაპირ ემსახურება დღეს ჩვენში პრესა. ზოგიერთმა კი მრავალი მივიწყებული და ძალიან საჭირო თემები წამოაყენეს. მათი აზრით ჩვენი პრესის საგნად უნდა გახდეს აგრეთვე მეცნიერებაც.

მე აქ ახალს არაფერს ვამბობ, მხოლოდ ხაზს უსვამ და განსაკუთრებით ვიწონებ „კომუნისტი“-ს № 224-ში „გ. მ.“ მიერ მოთავსებულ წერილს: „ჩვენი პრესის მთავარი ამოცანები“-ს სათაურით.

ავტორს საჭიროდ მიაჩნია ამ გარდამავალ ხანაში ჩვენს გაზეთებში საკმაო ადგილი დაუთმოს მეცნიერების სხვადასხვა დარგების ზოგად გაშუქებას, რომ ამით გაჩირაღდნდეს და განათლდეს გლეხისა და მუშის გონება, რომ აღარ ჰქონდეს მის თავში ადგილი ტრადიციულად შექმნილ „დრომოჭმულ ცრუ კერპ ფეტიშებს“. სწორედ აუცილებელია ჩვენის აზრითაც ტრადიციულად შეთვისებული ანტიმეცნიერულ მსოფლ-მხედველობის წინააღმდეგ ნამდვილი დაპირისპირებული მეცნიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვიანდება ცრუმორწმუნეობის ბორკილიდან მრავალი ჩვენი უსწავლელი გლეხებისა და მუშების განთავისუფლება. და ამით თავის თავად ცხადია „ცოდნის ძალის“ უქონლობის გამო დაგვიანდება თვით აღთქმულ ქვეყანაში (სოციალიზმში) ჩვენი გადასვლაც.

აი, ამის მაგალითიც: ამ დღეებში ახალციხის მხარიდან ტფილისში ჩამოსულ მეტივეებს შევეკითხე მათი ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ და აი რას მიპასუხებენ ისინი: „გეტყობა შენ ურიგო ახალგაზრდა არ უნდა იყო, მაგრამ ეხლანდელ ზოგიერთ ახალგაზრდების მოქცევამ (ახედველობაში აქვს ახალგაზრდების დამოკიდებულება ეკლესიებთან და სარწმუნოებასთან საერთოდ) ყველა ახალგაზრდებზე, ისე გაგვიტეხა გული რომ არასფერი მათი აღარა გვწამს. რამ უნდა უშველოს ჩვენს მდგომარეობას და საერთოდ ხალხს, როდესაც მორწმუნეობა აღარ არის; ეკლესიებს ჰკეტენ და ამით გაბრაზებული ღმერთი ათასნაირ რისხვით გვიმასპინძლდება. რამ ქმნა ყველა ის, რომ იაპონია, დაქცეულა და იმდენი ადამიანები დაღუპულა, თუ არა ღმერთმა? ან ვის ამოყავს და ჩაყავს იქვე ეს მზე, თუ არა ღმერთს,—„დიდება მის სახელსა“-ო და სხვა. აი, რა გვარი შეხედულება სუფევს ბუნების კანონებზე გლეხობაში.

სანამ ასეთი ცრუმორწმუნეობის შეხედულების გვყავს ჯერ კიდევ მრავალი მუშები და გლეხები ჩვენში, მანამ ჩვენის აზრით ძალიან შეფერხებული იქნება საერთოდ ჩვენი საბოლოო მიზნების განხორციელება.

ამიტომ, ჩვენი პრესა აუცილებლად უნდა სცდილობდეს ჩვენს თანამოძმე დაბალ მასებს გაუზიაროს ისეთი ზოგადი მეცნიერული ცოდნა, რომლის საშუალებითაც, ჩვენი მუშა და გლეხი ყოვლის შემძლე ძალას დაინახავენ ბუნების ძალაში“ და მაშინ „ღმერთს“ აღარ ექნება „დიდება მის სახელს“ და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს განმტკიცება არ გაგვიძნელდება.

მუშკორი **ჩხმელი.**

უნდა მიექცეს მეტი ყურადღება დიდუბეს

(ჯანმრთელობის კომისარიატის და მილიციის უფროსის საყურადღებოდ).

ყველამ იცის, რომ დიდუბე, როგორც ნაძალადევი, მუშათა რაიონია, რადგანაც ეს ასეა, ამ რაიონს მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს, მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ არის. საქმე შემდეგშია:

მთელ დიდუბის რაიონში ერთი აფთიაქია. ყოველ კვირა-უქმე დღეს აფთიაქი დაკეტილია და ისე დღეს კი, მუშაობს დილის 9-დან საღამოს 9-საათამდე. ღამით მორიგეობა მას არ უხდება.

ამრიგად ავადმყოფის პატრონთ უხდებათ შუა ქალაქში 2—3 ვერსის მონძილზე რბენა წამლის საშოვნელად.

სამაგიეროდ ამ ბოლო ხანებში ძალიან გამრავლდა ეგრედ წოდებულ „გასტრონომიულ-სამიკიტნოები“ და ღვინის სარდაფები (ასეთები გაიღო კიდევ ამ უკანასკნელ ხანებში, გორის და ელისაბედის ქუჩების კუთხეში).

მიუხედავად იმისა, რომ როგორც რუსულ გაზეთებში ისე გაზეთ „კომუნისტ“-ში ხშირად თავსდებოდა წერილები ამის შესახებ და მუშკორები მოითხოვდენ მათი სრულიად დაკეტვას და უკიდურეს შემთხვევაში, შემცირებას, ჩვენ ვხედავთ მათ გამრავლებას.

ყოველთვის, (კვირა-უქმე დღესაც) ნახავთ ღიას ხსენებულ დუქნებს ან და თუ დაკეტილია, უკანა კარებიდან ვაჭრობენ (რასაკვირველია, მილიციონერების თანხმობით).

ამ ვეებერთელა რაიონში კი ერთი აფთიაქია და ისიც გაჭირვების დროს დაკეტილია ხოლმე.

საჭიროა ამ არანორმალურ მოვლენას მიექცეს ყურადღება.

მუშკორი **მხილველი.**

მუშურ-გლეხური სასამართლო სასტიკად სჯის მექრთამეობას

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ა. წ. სექტემბრის 26—27-ს თავის საჯარო სხდომაზე გაარჩია საქმე ბრალდებისა გამო ყოფილ მილიციონერების ლევან ჯალალოვის და ლეონიდე ხუტულოვისა მოვაჭრე მოქ. ბატუაშვილისაგან ოქროს 50 მანეთის ქრთამის სახით მიღებაში. ხსენებულმა მილიციონერებმა ტფილისის შავ ბირჟაზე დააპატიმრეს მოქ. ბატუაშვილი და აღმოუჩინეს რა მას 150 მან. ოქრო და დაემუქრენ რა ჩეკაში წარდგენით, იძულებულ ჰყვეს ბატუაშვილი მიეცა მათთვის ქრთამის სახით 50 მან. ოქროთი.

სცნო რა დანაშაულად ზემოაღნიშნულ ბრალდებაში ხსენებული მილიციონერები, ხუტულოვი და ჯალალოვი, სასამართლომ მიუსაჯა მათ თვითეულთ ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით და სამი წლის ვადით თვითეულს ადმინისტრატიულ ორგანოში თანამდებობის მიღების უფლების აღკვეთით.

დაზარალებული ბატუაშვილი ბრალდებულებისადმი დანაშაულის გაძლიერების მიზნით, როგორც წინასწარ, ისე სასამართლოს გამოძიებაში განზრახ ცრუ ჩვენებით სცდილობდა დაემტკიცებინა ბრალდებულების მიერ აღნიშნულ საქციელის მეორეჯერ ვინმე უცნობი ებრაელებისადმი ჩადენას, რისთვისაც მოისყიდა მოწმე მატინოვი, მაგრამ მართლმსაჯულებამ გააშუქა სიმართლე და ცრუ მოწმეები ბატუაშვილი და მატინოვი ყალბი ჩვენების მიცემისათვის იქნენ პასუხგებაში მიცემულნი და დაპატიმრებულნი.

უფროსი მდივანი **იოხავა.**

მტვირთველ მუშებს შორის

25 სექტემბერს ტფილისის საქონლის სადგურზე მოხდა ტვირთმზიდავ მუშების შეერთებული მასიური კრება. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ამხ. კ. უჯმაჯურიძე, მდივნად ა. მახარაძე. კრებას დაესწრო პროფკავშირის წარმომადგენლები და აგრეთვე 1-ლ რაიკომის მდივანი გოლდბაუმი. კრების საგანი იყო, უკვე დიდი ხნის მტვირთველ მუშების უმწეო მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო მათი „ცენტროტრამოტი“-ს ხელში გადასვლის შემდეგ, რომელსაც ჰქონდა დადებული სამმართველოსთან ხელშეკრულება, სრულიად მუშებისთვის მიუღებელ პირობებით. მუშები მთელი თავის მოქმედებით და ძალით რკინისგზის საქმეს აკეთებენ და სახელმწიფოს მთელი ძალღვი მათ ხელშია. მიუხედავად ამისა, ისინი ამ დროს რკინისგზელთა ყოველივე უფლებებს მოკლებული იყვენ, როგორიც არის უფასო ბილეთები „პროვიზიონკები“, ნავთი, შეშა და სხვა. კრებაზე მოხსენება გააკეთა კავშირის წევრმა სეროპიანმა; მან გააცნო კრებას, თუ რა სირთულე გამოიწვია „ტრამოტას“ და სამმართველოს შორის ბრძოლამ პირობების შეცვლის შესახებ, ვინაიდან ისინი ვერ შეთანხმდნენ ერთი მეორესთან. მუშების მდგომარეობა კი აუტანელი იყო, ამისათვის ჩვენმა უმაღლესმა ორგანოებმა კანონიერად იცნეს მუშათა მოთხოვნილება და კავშირს დაევალა, რომ შეთანხმებოდა სამმართველოს და დაედვა ხელშეკრულება მასთან. ჩვენ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე სატარიფოს შეიქვსი ხარისხზე უკვე შეუთანხმდითო. ამის შემდეგ კავშირის წარმომადგენელმა შველიძემ მუხლობრივ წაუკითხა ხელშეკრულება, სადაც ჩვენი მუშებისთვის ნათლად აღდგენილი იყო რკინისგზელთა სრული უფლებები. მასთან გამოირკვა, რომ მუშებმა შვებულებაც უნდა მიიღონ თავის დროზე. კრებამ კავშირის შრომა და ღვაწლი სრულიად დამაკმაყოფილებლად იცნო და მას მადლობაც გამოუხადა. ამ უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანისთვის და უსურვა მომავალშიც ასე კანონიერად მოქმედება მუშების საკეთილდღეოდ.

მუშა **ხიდისთაველი.**

რკინისგზის სავადმყოფოს მუშათა კლუბი

მუშათა კლუბებს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს უკვე შეიგნეს მუშათა ორგანიზაციებმა. ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა რკ. გზის სავადმყოფოს მუშებს ეკუთვნით. საავადმყოფოს ეზოში ორგანიზაციამ შეაკეთა საკლუბო შენობა, სადაც როგორც ამ დარგის მუშები, ისე ავადმყოფები მოისმენენ წარმოდგენებს და ლექციებს. საჭიროა ამაზე, აღმოუჩინოს კავშირმა და რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილებამ დახმარება ამ კლუბის ფონდის გასაძლიერებლად. 27 სექტემბერს დაიდგა ორჯონიკიძის მუშათა კლუბში ქართული და რუსული წარმოდგენა, მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ მუშები. დაიდგა ქართულად ორი პიესა „ორი მშიერი“ და „რევოლიუციონერი“. კარგები იყვნენ დ. გილავა, დარახველიძე, მიქელაძე, პაპიკიანი და აფხაზავა. გაიმართა ფართო დივერტისმენტი. სადაც რევოლიუციონური ლექსები წაიკითხა „კომუნისტი“-ს მუშკორმა გ. ჩარხიშვილმა. წარმოდგენას მუშები ბლომად დაესწრენ.

მუშკორი **დამსწრე.**

„ერკოპი“-ს „ჩეკები“ ფულზე ძვირია.

საქმე არც ისე დიდი ხანია მოხდა. ერთ დღეს შედის „25“ ოქტომბრის სახელობის ასანთის ქარხნის მუშა-ქალი მთლიან მუშათა კოოპერატივის № 13 დუქანში და სთხოვს ნოქარს, დაუწეროს მას „ჩეკი“ ლილაზე და კბილის ფხვნილზე. ყველაფერი იქნებოდა 700,000 მანეთის. დიდი ფული არ არის.

მას უპასუხებენ: „ჩვენი „ჩეკი“ უფრო ძვირი ღირს, ქაღალდი უფრო ძვირი ღირს“,—ვიდრე ის საფასური, რომელსაც თქვენ გვაძლევთ“-ო. მე თუ ფული მეტი არა მაქვს? უპასუხებს დაღონებულად მუშა ქალი და ბრუნდება შინისაკენ.

გაუშვეს, რასაკვირველია, საბრალო ქალი ხელცარიელი.

ნუ თუ მართლა „ერკოპ“-ის „ჩეკი“ 700.000 მანეთზე მეტი ღირს? და თუ ეს ასეა, უნდა ვეცადოთ, რომ ის იაფფასიან უბრალო ქაღალდებზე დაიწეროს და მუშათა ფულები უბრალო რამეებში არ გავფლანგოთ.

მუშკორი **მახხი.**

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. სექტემბრის 27.

ერთდროული აქციზის მტკიცე განაკვეთის რაოდენობის საჩერვონცო ანგარიშით დაწესების შესახებ იმ ადგილების სასმელის სავაჭროებისათვის, სადაც ღვინის აღნუსხვა არა სწარმოებს.

ამჟამად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ერთდროული აქციზის განაკვეთის შესახებ 1923 წ. აპრილის 23-ს თარიღითა და 41 №-რით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. ა. ბ და გ—პუნქტის შესაცვლელად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: ერთდროული აქციზის გადახდევინებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მტკიცე წლიური განაკვეთი საჩერვონცო ანგარიშით იმ ადგილების სასმელის სავაჭროებისათვის, სადაც ღვინის აღნუსხვა არა სწარმოებს.

ა., პირველი კატეგორიის ადგილისათვის—თხმოცდასამი და სამიმეათედი საჩერვონცო მანეთი.

ბ., მეორე კატეგორიის ადგილისათვის—ორმოცდა ათი საჩერვონცო მანეთი.

გ., მესამე კატეგორიის ადგილისათვის—ოცდახუთი საჩერვონცო მანეთი.

ერთდროული აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს ჩერვონცებით ან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით იმ დღის კურსით, რა დღესაც აქციზი იქნება გადახდევინებული.

დადგენილება ესე შედის მოქმედებაში მთლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1923 წ. ოქტომბრის 1-დან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ბ. თალიბლი.

დებულება სასამართლოში საქმეების დამცველთა კოლეგიისა

(დასასრული)

დანართი 2.

დამცველთა მიერ მიღებული გასამრჯელოდან საპროცენტო გადარიცხვის შესახებ.

1. დამცველი მოვალეა ყოველი სამოქალაქო, ან სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის მიღებულ გასამრჯელოდან გადარიცხოს კოლეგიის ფონდში 3 პროც.

2. ფულის შეტანა კოლეგიის ფონდში ხდება თვეში ერთხელ მაინც: იგი ან პირდაპირ უნდა გადაეცეს კოლეგიის პრეზიდიუმის ხაზინადარს, ან შეტანილ უნდა იქმნეს კოლეგიის სახელდახელო ანგარიშზე სახალხო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში.

3. კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეამოწმოს სისწორე საპროცენტო გადანარიცხის შეტანისა და მოსთხოვოს დამცველს წარდგენა იმ დავთრისა, სადაც აღნიშნულია მინდობილი საქმის გამო შემოსული და დახარჯული ფული და ანგარიშის გასწორება.

4. უკეთუ საპროცენტო გადანარიცხი ვერ დაფარავს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ გასაწევ აუცილებელ ხარჯს, პრეზიდიუმს უფლება აქვს გაადიდოს ხსენებული საპროცენტო გადანარიცხი პროგრესიულ-პროპორციონალური პრინციპის საფუძველზე, ან დააწესოს ერთდროული გადასახადი ამა თუ იმ სპეციალური ხარჯის დასაფარავად. ყოველი ასეთი დადგენილება კოლეგიის პრეზიდიუმმა ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის მეშვეობით უნდა აცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარს.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოად.
ბროდსკი.

დანართი 3.

გამოცდების პროგრამა დამცველთა კოლეგიაში წევრად ჩასარიცხ ისეთ კანდიდატისათვის, რომელსაც არა აქვს ერთი წლიანი პრაქტიკული სტაჟი.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილება (კონსტიტუცია, საბჭოთა სისტემა, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, მართვა-გამგეობის ორგანოები) კონსტიტუცია სოც. საბჭ. საკავშირო რესპუბლიკის და ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. ფედერატ. რესპუბლიკისა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოთა წყობილება და სამართლის წარმოება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მე 4 სესიის მიერ მიღებული სასამართლოს წყობილების დებულებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. პროკურატურა და დამცველთა კოლეგია.

3) სისხლის სამართლის (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი).

4. სამოქალაქო სამართალი (სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმ. კომიტეტის მე-4 სესიის მიერ მიღებული სამოქალაქო სამართლის კოდექსი) სამოქალაქო მდგომარეობის აქტები.

5. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონდებულება მიწის შესახებ.

6. შრომის კანონთა კოდექსი.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგ.
ბროდსკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ამხანაგების გამოძახება.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომი იუწყება, რომ სრულიად საქართველოს აღწერა დასრულდება რაიონში 5 ოქტომბერს. ყველა ქვემოდ დასახელებული ამხანაგები, რომელნიც არ გატარებულან რეგისტრაციაში, ვალდებული არიან გამოცხადდენ რაიკომში. ამხანაგები, რომელნიც არ გამოცხადდებიან, მოხსნილი იქნებიან აღრიცხვისაგან და მათი საქმეები გადაეგზავნება ცეკას.

იაჩეიკა № 1—მელითონეების 1. ოსიპოვი—წევრი, 2. ბუშკინი—კანდიდატი.

იაჩეიკა № 2. როზა ლიუქსემბურგის თამბაქოს ფაბრიკა. 1. გოხაძე ვასილი—წევრი 2. ოანესიანი მიტო—წევრი, 3. ორახელაშვილი მარია—წევრი, 4. გოლუბიევა ვერა—წევრი, 5. კაპანაძე გიორგი—წევრი, 6. მირიმანოვა ანნა—წევრი, 7. ივანოვა ანასტასია—კანდიდატი.

იაჩეიკა № 4. თამბ. ფაბრიკა „პროლეტარი“, 1. ვიტუხინა კლავდია—წევრი, 2. სამედოვი აშრაფი—წევრი, 3. რადიონოვი ივანე—წევრი, 4. პრონზიაკოვა აფანასია—კანდ.

იაჩეიკა № 5—სამხედრო—სახელ. ქარხანაში, 1. გაბუნია გრიგოლ—წევრი, 2. მიქაძე არჩილ—წევრი, 3. გეცევიჩი ფრანცი—კანდ.

იაჩეიკა № 6 ცეკავშირი. 1. ვართანიან ცოლაკი—წევრი, 2. ბალტინ ავგუსტ—წევრი, 3. ბერძენიშვილი—წევრი.

იაჩეიკა № 7 გაერთიანებული მილიციის. 1. ძიძიგური ილარიონ—წევრი.

იაჩეიკა № 9. სახურსათო სახ. კომისარიატის ცენტრ. საწყობი, 1. აზარიანც არმენაკი—წევრი, 2. პროკოფიევი სერგო—კანდ.

იაჩეიკა № 10—მუშათა მთლიანი კოოპერატივი. 1, მზარეულაშვილი ვასილი—წევრი.

იაჩეიკა № 11—ტრამოტი. 1. ბობრიშჩევი ივანე—წევრი, 2. ლაფანაშვილი—წევრი, 3. კამელოვი ლევან—წევრი, 4. ვაგნერი ალექსანდრე—წევრი.

იაჩეიკა № 12—ტრამვაი. 1. მირზოევი გიორგი—კანდ. 2, მსხილაძე ნიკოლოზ—კანდ. 3. ბაგდასაროვი ნიკ.—კანდ.

იაჩეიკა 13—არსენალი. 1. ერქომაიშვილი ალექსანდრე—წევრი, 2. მარკაროვი გეორგი—წევრი, 3 ბედაშვილი ალექსანდრე—კანდ.

იაჩეიკა № 14—კოლოფის ფაბრიკა. 1. ტერ-კაზაროვი გეგამ—წევრი, 2. მხოიანი იოსებ—წევრი, 3. მელენკი ცალიი—წევრი. 4. ჩიინეიშვილი გიორგი—წევრი.

იაჩეიკა № 15—მიხეილის საავადმყ 1. ლევიცკი სერგო—წევრი.

იაჩეიკა № 16—ალექსანდრის საავადმყოფო. 1. კამალოვა ლიდია—წევრი, 2. დარახველიძე—კანდ.

იაჩეიკა № 18, მე-2 საბჭ. ელექტრ. სადგური. 1. გრიგორიანი—წევრი, 2. იურჩაკი—კანდ., 3. ხაჩატუროვი სურენ—კანდ.

იაჩეიკა № 20. სან ტეხი. 1. თუმანიანი მიხეილ—წევრი, 2. პიპარიშვილი—წევრი, 3. შავერდოვი—წევრი, 4. გასპარიანი—წევრი.

იაჩეიკა № 24, სამკერვ. ფაბრიკა. 1. ანდრიევსკაია ელენა—წევრი, 2. გრანიკი ელლი—წევრი, 3. მინასიანი შუშანიკ—წევრი, 4. ტერუნოვი არტემ—წევრი, 5. გოგიშიძე ფილიპე—წევრი.

იაჩეიკა № 25, ავტო-სახელოსნო № 1. 1. გიკაშვილი ნიკოლოზ—წევრი.

იაჩეიკა № 26 ავტო-სახელ. № 3. 1. ალელოვი ოვანეს—წევრი, 2. ჩაპლინ ნიკოლოზ—წევრი.

იაჩეიკა № 27 ცენტრ. ელექტრ. სადგური. 1. მამალაძე მელიტონი—წევრი, 2. ჯიოევი ვასილი—წევრი.

იაჩეიკა № 29—შინამრეწველ. 1. ბარამიძე ვლადიმერ—წევრი.

იაჩეიკა № 32—მეტყევეთა. სარქისიანი აშოტ—წევრი.

იაჩეიკა № 34, სახელმწიფო ღვინის ტრესტი. 1. სადიმ მიხეილ—წევრი.

იაჩეიკა სახურს. სახ. კომისარიატის. 1. თოდრია სილიბისტრო—წევრი, 2. საკოვი ნაპოლეონი—წევრი.

იაჩეიკა სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში. 1. არეშიძე ვასო—წევრი, 2. ძნელაძე—წევრი, 3. ცაგარელი—წევრი, 4. ხახანოვი—წევრი, 5. ასლანოვი—წევრი, 6. კოჩარიანი—წევრი.

ჯანმრთ. სახ. კომისარიატის იაჩეიკა. 1. მალაქაშვილი ალექსანდრე.

სახ. უნივერსიტეტის იაჩეიკა. 1. ბოლქვაძე სერგო, 2. გადაბაძე პორფილე, 3. ჯაში ბენიამინი, 4. კალანდაძე არსენ, 5. ოდილავაძე შალვა, 6. ფარცხალაძე ივანე, 7. თხილავა დიმიტრი, 8. ცომაია პარმენი, 9. ჩინაშვილი მიხეილ, 10. შუშანია პლატონი, 11. ლოტარია პლატონი, 12. ლეჟავა ვარლამ, 13. წულავა თედორე, 14. აბისამაშვილი, 15. თაბაგარი სერგო, 16. ჩიგოგიძე ვასილ, 17. დავიდოვი ზაქარია, 18. მელუა სერგო, 19. ხუხუნი ევგენი, 20. ესაკია ათანასე.

მუშ. ცენტრ. კლუბის იაჩეიკა. 1, ბაგდანოვი ვასილ—წევრი, 2. ბელიმენკო ალექსანდრე—წევრი, 3. ბორამენსკი კონსტანტინე—წევრი, 4. ყაჩიევ რომანოზ—წევრი, 5. პავლენკო პეტრე—წევრი, 6. ცაბაძე ვლადიმერი—წევრი.

ქვემო დასახელებული ამხანაგები, რომელნიც გატარდენ აღწერაში, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ხელახალ რეგისტრაციაზე ა. წ. 5 ოქტომბრამდე.

იაჩეიკა № 11. 1. ნაიტაკი ალექსანდრე, 2. კალანტაროვი ივანე, 3. გიგაური ვლადიმერ, 4. კირვალიძე პროკოფი, 5. კამალოვი ლევანი, 6. ბლოდო ალექსანდრე, 7. მელაძე პავლე, 8. კლენიცკია.

იაჩეიკა № 14. 1. ზევაშვილი იაკობ, 2. ტერ-კაზაროვი გეგამი, 3. კრაცევიჩ ალექსანდრე.

იაჩეიკა № 27. 1. მამალაძე მელიტონი, 2) ჯიოევი ვასილი.

იაჩეიკა № 12. 1. დუშევინი გრიგოლი.

მდივნის მაგიერ: ნაზაროვი.

— საქ. კომპ. ცეკას სააგიტ.-საპრ. განყ. იწვევს გამოსაცხადებლად სახელ. უნივ. მუშფაკის მსმენელს ამხ. ალექსანდრე გეგენავას (სამტრედიიდან).

—2-ე რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშკოპის კლუბში (კირკის ქ. № 7) შესდგება 2-ე რაიონის გაფართოვებული პლენუმი მდივნებთან, ბიუროს წევრებთან, დელეგატებთან და უჯრედებზე მიმაგრებულებთან ერთად.

ყველა ზემოაღნიშნული ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ—ნაზაროვი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს, 5 ოქტომბერს ერთიანი პარტიული დღე გადადებულია და მუშათა ცენტრალურ კლუბში საღამოს სრულ 6 საათზე ინიშნება 2-ე რაიონის წევრთა და კანდიდატთა რაიონული კრება.

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ (მომხსენებელია ამხ. რუბენი).
2. მიმდინარე საქმეები

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა. ისინი, ვინც დააგვიანებენ 15 წუთით, არ იქნებიან გატარებული რეგისტრაციაში.

პროფესიონალური

კვირას, 7 ოქტომბერს, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3). დილის 11 საათზე მოხდება საერთო კრება ქ. ტფილისის ბეჭდვითი საქმის მუშაკთა.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია სექციის ბიუროსი შესრულებულ მუშაობის შესახებ.
2. არჩევნები კულტკომისიის და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიისა,
3. მიმდინარე საკითხები.

პროფესიონალურ დისციპლინის ძალით კრებაზე სავალდებულოა დასწრება ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ყველა წევრებისა.

რეგისტრაცია ევალება რწმუნებულებს.

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი საორგ.-საინ. განყოფილების გამგე
მეძმარიაშვილი.

საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი
გიულუმიანი.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი
პარასკევს, 5 ოქტ.
651—1—1

დონ-ხილ
— მწვანე შარვალი —
კომედია 3 მოქ.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია
ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ გრძელდება
მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე
ხელის მოწერა ოქტომბრის თვის განმავლობაში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე ექსპედიციის კანტორაში, რუსთაველის პროსპექტი № 26 დილის 9 საათიდან დღის პირველ საათამდის.
ექსპ გამგე ჩეჩელაშვილი.
650—3—2

ტფილისის ქალაქის მთავარი სადეზინფექციო კამერა
ამით აცხადებს, რომ კვირას, 7 ოქტომბერს, დილის 10 საათზე კამერის შენობაში, დეზერტირის ბაზართან, შეშის და აბასთუმნის ქუჩების კუთხეში
შესდგება
საჯარო ვაჭრობა
ძველი სახურავის (პაკრიშკა), კამერების, ძველი მინანქრიან ჭურჭლის და სხვა, კამერის კუთვნილ საგნების გასასყიდლად
652—1—1 სადეზინფექციო კამერა.

ბათომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 15 ოქტომბერს დღით 12 საათზე კომუნალური მეურნეობის შენობაში დანიშნულია წერილობითი
საჯარო შეჯიბრება
იჯარით გაცემისა 7 წლის ვადით კომუნალურ მეურნეობის კუთვნილ სახლის (ყოფილი სასტუმრო ფრანცია ტროცკის ქუჩა), რომელიც შესდგება სარესტორანო შენობიდან მოწყობილობით და 28 საცხოვრებელ ოთახებიდან ავეჯეულობით.
მსურველებმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 12 საათისა დღით 15 ოქტომბერს ამა მიმდინარე წლის წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში კომუნალური მეურნეობის სახელზე წარწერით „სასტუმრო ფრანციის“ იჯარით გამცემ კომისიას.
განცხადებასთან უნდა იყოს შემდეგი დანართები:
1) ბარათი სახელმწიფო ბანკის კომუნალური მეურნეობის მიმდინარე ანგარიშზე 30 ჩერვონცის შეტანისა.
2) ხელწერილი მაზედ, რომ თუ წარმოდგენილი პირობები იქნება მიღებული და კონტრ აგენტი უარს განაცხადებს ხელის მოწერას ხელშეკრულებაზე ერთი კვირის ვადაში დღიდან მისი დამტკიცებისა, შემოტანილი საწინდარი რჩება კომუნალური მეურნეობის სასარგებლოდ და პირობა ჩაითვლება გაუქმებულად.
3) საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ პირადობას და რწმუნება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთა პირების, შემოტანილი საწინდარი იმ პირის, რომლის წინადადება იქნება მიღებული, დარჩება როგორც ასეთი და ამას გარდა პირობის შეკვრის დროს აღნიშნული საწინდარი უნდა იქნას შევსებული 10 პროცენტამდე ხელშეკრულების სრული თანხიდან.
ფასები უნდა იქნას განცხადებული ჩერვონცებით. განცხადებები უნდა იქნას გადახდილი საღერბო გადასახადით.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე კომუნალურ მამულების ქვე-განყოფილებაში.
კომუნალურ მეურნეობის გამგე გ. ჩაჩბა.
კომუნალურ მამულების განყოფილების გამგე კანდელაკი.
საქმეთა მმართველი ბელქანია.
კრ. 649 7—3.

საჩხერის უბნის სახალხო მოსამართლე იწვევს თავის მერაში დ. საჩხერეში დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელს, როგორც მოპასუხეს მის მეუღლე ნინო პანტელეიმონ გედევანიშვილის ასულ აბდუშელის განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ აფრთხილებს მას, რომ თუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა არ გამოცხადდება. დანიშნული იქნება საქმე და მოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1254—1—1 საჩხ. უბნის სახ. მოსამ. გ. წერეთე

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი № 658 კბილის ნ. ბობოხიძე ზედელავას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1256—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში მოცემული მატრი ლი № 398 აგრონომიულ ფაკულტეტის სტუდ შალვა ნადარეიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1255—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ოპერა
1923—24 წ. სეზონი
— დასის შემადგენლობა (ალფაბიტით). —
ქალები:
სოპრანო:
ბოკოვა ტ. ვ., ლაბაშიძე ს. გ., ექსანიშვილი მ. ა., კალანდაძე ო. ს., მარკოვა ლ. მ., (მ. დრამის პრემიერი), მაზოვეცკაია ნ. ვ., ნეიმანი ბ. ტ., პანკრატოვა ე. ი., (ზიმინის ოპერის პრემიერი), პოპოვა ე. მ., ცაგარელი მ. მ.
მეცო-სოპრანო:
ადა რემონე (მარინის ოპერის და მუს. დრამის პრემიერი), დობოვანსკაია ვ. მ., ერმოლინსკაია ა. ა., რუდენკო ა. პ., სტრიჟენოვა ნ. გ., თუმანოვა-მახარაძე ო. ლ., იანსა მ. ა.
ვაჟები:
ტენორები:
ვაგი ემილი, ევლახოვი ბ. მ. (დიდი თეატრის პრემიერი), ზავალოვი ი. კ. (კიევის ოპერის მსახიობი), იმონინი გ. მ., კაცხა ვ. ლ., კურბატოვი ა. ა., ლეჟავა-გუდიმი ვ. მ., მესხი ა. (აკად. თეატრების პრემიერი), სარაჯიშვილი ი. პ. (რესპუბლ სახალხო მსახიობი), თუმანიშვილი ლ. გ.
ბარიტონები:
ვენაძე გ. ი., დევლეტი (ოდესის ოპერის პრემიერი), დრო დო-პოლიაევი ფ. ნ., ქარცივაძე გ. ს., კაშაკაშვილი ვ. ხ., კრ უინ-კრიუანოვსკი ი. ვ., ქურხული, თარსან-მოურავი შ. ი., ელიოზაშვილი ნ. ა.
ბასები:
ბლაგოობრაზოვი ა. ფ. დემიანენკო ა. პ., იმერელი ე. ი. ისეცკი ლ. ნ., ლორთქიფანიძე ვ., საბინინი ი. დ.
დირიჟორები: ბრონი ო. მ., რუსეთის სახ. თეატრების დამსახურებული მსახიობი, ივ. პ. ფალიაშვილი და ჩუგუნოვი
მთ. რეჟისორი რაპპორტ ვ. პ.
რეჟისორი რაისკი ა. მ.
რეჟ. თანაშემწე მე—სკი ა. დ.
გურესი ა. ა.
ადმინისტრატორი ნ. პუშკოვი
კონცერტმეისტერები:
მელიქ-პაშაევი ა. შ.
ფალიაშვილი ქ. პ.
საბინ-გუსი ე. დ.
ხორმეისტერი ბელსკი
ბალეტმეისტ. დისკოვსკი მ. კ.
პრიმ. ბალერინა ანდრიევა და ლეონოვა
ბალეტი 24 მსახიობიდან მხატ: კარხელიანი ი., ნოვაკი ი., და სიდამონ-ერისთავი.
ორკესტრი 60 მსახიობიდან. გუნდი 60 მსახიობიდან.
კონცერტმეისტერები: ბროდსკი ვ., ხტუშელი ლ., (1 სკრ.), ლოიკო ი.. (2 სკრ.) ნეიმანი ს. (ალტი), კოპელნიცკი ე. (ვიოლონჩ) ბრუსილოვი (კონტრაბას).
ორკესტრის სოლისტები: ლემბერგი მ. (ფლეიტა), გროშევი ა., ტეპლერი ა. (კლარნეტი), ნეიმანი მ. (ფაგოტი), სიჩუროკა (არფა), ტურიგინი (ვოლტერნა), გარმუზოვი მ. (ტრუბა), ქელიასკი პ (ტრომბონი 1), ბენდიცკი (ტრომბონი ბასი), ილინი (ტიმპანი).
სამხედრო ორკესტრი გ. მოზგიდერის გამგეობით.
განათების გამგე: ნეკონეჩნი გ. ი.
ბუტაფორი ტრუსევი ა. გ. რეკვიზიტორი ლისიცი პ.
კოსტიუმერი დომბროვსკი ი. პ.
ქალების კოსტიუმების გამგე: ლებედინსკაია ე. ი. პარიკების—მხეიძე ი. ნ.
სეზონის ახალი დადგმა:
ზ. ფალიაშვილი—დაისი
მ. ბალანჩივაძე—თამარ ცბიერი
ვაგნერი—ტრისტანი და იზოლდა
ვაგნერი—ტანჰეიზერი
რიმსკი-კორსაკოვი—„ზოლოტოი პეტუშოკ“.
როსინი—ვილჰელმ ტელ.
ჯორდანო—ანდრე შენიე.
მეიერბერ—„პროროკ“.
დ-ალბერტ—დოლინე.
სრული განახლებით.
აბესალომ და ეთერი, კარმენი, ევგენი ონეგინი, ოტელო—რეპერტუარში: ლოენგრინი, აიდა, ბოჰემა, ბატერფლაი, ჰუგენოტები, მეფე იგორ ლაკმე, ჯამბაზები, პიკის ქალი, სოფლის პატივი, მეფის საცოლე, ქეთო და კოტე და სხვ.
სეზონის გახსნა:
წარმოდგენა პროფკავშირების წევრთათვის (ბილეთები პროფკავშირების საშუალებით) შაბათს, 6 ოქტომბერს.
ქ. მარჯანიშვილის ახალი დადგმით
თქმულება შოთა რუსთაველზე
ოპერა 3 მოქმედებათ, მუსიკა დ. არაყიშვილის.
ახალი დეკორაციები და კოსტიუმები სიდამონ-ერისთავის.
კვირას 7 ნოემბერს (მეორეჯერ)
თქმულება შოთა რუსთაველზე
ბილეთები იყიდება. კასა ღიაა სამშაბათიდან, 2 ოქტომ. 11—3-დე და 6-დან საღ. 10 საათამდე.
თეატრის გამგე: ს. ი. ევლახოვი. მხატვრული ნაწილის გამგე: ივ. პ. ფალიაშვილი. 658.

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.